კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნანა სეფერთელაძე

სამაგისტრო ნაშრომი:

საქართველოს ნატოში გაწევრიანების გეოპოლიტიკური ასპექტები. პრობლემები და პერსპექტივები

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო უსაფრთხოებაში სოციალური მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადხელმძღვანელი:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცილებული პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ვახტანგ მაისაია

თბილისი 2018

ანოტაცია

NATO - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ჩრდილოეთ ამერიკის 2 და ევროპის 27 სახელმწიფოსგან შემდგარი სამხედრო-პოლიტიური ალიანსია, რომლის მიზანს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება წარმოადგენს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა ალიანსის წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით.

ნატოსთვის გაფართოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია და იგი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მე-10 მუხლს ემყარება. ნატოს კარი ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც მზად არის შეასრულოს წევრობისათვის საჭირო ვალდებულებები. 1949 წლიდან ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა, გაფართოების შვიდი საფეხურის გავლით 12-დან 29-მდე გაიზარდა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ნატოს გაფართოების პროცესი ინტენსიური დებატების საგანი გახდა. ზოგი შიშობდა, თუ როგორ აისახებოდა გაფართოების პოლიტიკა ალიანსის კავშირებზე სხვადასხვა ქვეყანასთან, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობებზე. ამის გათვალისწინებით 1995 წელს, ალიანსმა ჩაატარა სწავლება ნატოს გაფართოების შესახებ, რომლის საფუძველზეც 1997 წლის მადრიდის სამიტზე, გაწევრიანების მიზნით ალიანსმა ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მოიწვია. ისინი ალიანსს 1999 წელს შეუერთდნენ და ვარშავის ხელშეკრულების ყოფილი ქვეყნებიდან პირველი ნატოს წევრი სახელმწიფოები გახდნენ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გეოსტრატეგიული პროცესები. საქართველოს როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციის სამომავლო პერსპექტივებში. საუბარია ასევე იმ დადებით და უარყოფით მოვლენებზე, რამაც

შეაფერხა ქვეყნის ინტეგრაცია ნატოში და ნატოს მიერ საქართველოში განხორციელებულ პროექტებზე, სადაც პირდაპირ მონაწილეობას ღებულობდა საქართველო. ნაშრომში ხაზია გასმული იმ რეფორმებზე, რომელიც ქვეყანამ გაატარა ორგანიზაციის სტანდარტებიდან გამომდინარე და რაც მთავარია, განხილულია მიზეზები რაც ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ნატოს კავკასიაში ინტერვენციისათვის.

Annotation

Student: Nana Seperteladze

Thread title: Geopolitical aspects of Georgia's membership in NATO. Problems and challenges

The NATO-North Atlantic Treaty Organization is a military-political alliance comprising North America 2 and 27 European states, aiming to fulfill the objectives and objectives set out in the North Atlantic Treaty. The main objective of the North Atlantic Treaty Organization is to ensure the freedom and security of all member states in both political and military terms.

Expansion for NATO is one of the most important processes and it is based on Article 10 of the North Atlantic Treaty. NATO door is open for any state that is ready to fulfill its obligations to membership. Since 1949, the number of NATO member states has increased from 12 to 29 via seven steps of expansion.

After the end of the Cold War, NATO expansion process became the subject of intense debate. Some were afraid of how the expansion policy reflected the alliance's relations with different countries, especially with Russia. Taking into consideration this, in 1995, the Alliance conducted training on NATO expansion, on the basis of which at the 1997 Summit in Madrid, the Alliance has invited the Czech Republic, Hungary and Poland to join. They joined the Alliance in 1999 and became the first NATO member states from the former Warsaw Treaty.

The paper deals with geostrategic processes of Georgia's integration into NATO. The role and importance of Georgia in the future perspectives of the organization. It is also about the positive and negative events which hindered the country's integration into NATO and NATO's projects in Georgia, where Georgia was directly participating. The paper emphasizes the reforms that the country has pursued from the standards of the organization, and most importantly, the reasons behind which are a hindering factor for NATO intervention in the Caucasus.

სარჩევი

შესავალი 5

თავი 1 საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი.....10

1.1 საქართველო-ნატოს თანამშრომლობის ისტორია 12

1.2 ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმები და პროგრამები 15

1.3 საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა 22

თავი 2 საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები ჩრდილოატლანტიკურ ალიანში გაწევრიანების გზაზე 31

2.1 2008 წლის ომის მიმოხილვა 32

2.2 რუსეთის ფაქტორი ევროინტეგრაციის პროცესში 38

2.3 გლობალური მოთამაშეების ინტერესები საქართველოსადმი 41

თავი 3 ნატო-საქართველოს გეოსტრატეგიული ინტერესები და ნატოს გაფართოების ისტორია.....44

3.1 ნატოს ახალი ინტეგრაციის ინსტრუმენტები ე,წ ,,ხუთი კიბის პრინციპი“.....45

3.2 ნატოს გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ 53

3.3 ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიმართ 62

დასკვნა 70

გამოყენებული ლიტერატურა 74

შესავალი

არჩეული სამაგისტრო თემის აქტუალურობა

თემის აქტუალურობა განპირობებული საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიამ. საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის ასპირანტი ქვეყანა და მომავალი წევრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს აქტიური წვლილი შეაქვს ნატოს ეგიდით წამოებულ სამშვიდობო ოპერაციებში და თანამშრომლობს პარტნიორ ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში. ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის სტაბილურობას ნიშნავს, რაც ეკონომიკური აღმავლობის მთავარი საფუძველია. ნათელია ის პერსპექტივები, რომლებიც ნატოში გაწევრიანებას ახლავს თან. საქართველო იძულებულია მოძებნოს სტრატეგიული მოკავშირე და ძლიერი მფარველი იმისთვის, რომ უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილური განვითარება და უსაფრთხოება.

თემის ჰიპოთეზა

გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების და გამოწვევების ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება უსაფრთხოების საკითხი. პატარა ქვეყნებს უწევთ მუდმივი ბრძოლა სუვერენიტეტის შესანაჩუნებლად აქედან გამომდინარე საქართველო მიისწრაფვის გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და გახდეს ერთიანი უსაფრთხოების სისტემის ნაწილი. ნატოს შესწევს ძალა და რესურსი უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოების დაცვა და სტაბილურობა არსებული საფრთხეების ფონზე.

საკვლევი კითხვები მოიცავს შემდეგს:

- რა ფაქტორები უშლის ხელს საქართველოს ნატოში გაწევრაინებას?
- რამდენად შეუძლია საქართველოს ნატოს უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება?

- შეუძლია თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანება MAP - ის გარეშე?
- რამდენად შეძლებს ნატო საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფას?

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შეჩეული საკვლევი თემის მიზნები და ამოცანებია:

- ნატოში გაწევრიანების მნიშვნელობის განსაზღვრა
- რა დადებითი შედეგი შეიძლება მოუტანოს საქართველოს ნატოში გაწევრიანებამ
- რიგი საფრთხეების გამოვლენა, რამაც შეიძლება შეაფერხოს საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში
- ნატოში გაწევრიანების ეტაპების შესწავლა და ალიანსში გასაწევრიანებელი კრიტერიუმების გაანალიზება
- საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების და გამოწვევების წარმოჩენა ნატოში ინტეგრაციის პროცესში
- ისეთი რეკომენდაციების წარმოდგენა, რომელიც ეფექტიანი იქნება ალიანსში გაწევრიანებისთვის.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები - არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

- არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა
- Content-analyze
- თვისებრივი კვლევის მეთოდები
- მონაცემთა ანალიზი
- Case-Study, Swot-analyze
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი
- ინტერდისციპლინარული მეთოდი
- კონტენტ ანალიზი

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

- რეალიზმის - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები
- ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია უკავშირდება ცნობილი ამერიკელი მკვლევარის - რიჩარდ კოენის სახელს.
- **ძალთა ბალანსის** - კონცეფცია საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, თუმცა მინდა ძირითადი წყაროები გამოვყო:

- ნ. ჩიტაძე, ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბ., 2008 - წიგნში საუბარია ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის დაარსების, სტრუქტურის, ნატოს როლზე ,,ცივი ომის" პერიოდში და შემდგომ. ნატოს პოლიტიკაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და ფართო საქმიანობაზე.

- ნ. ჩიტაძე - გეოპოლიტიკა. თბილისი 2011 - წიგნში საუბარია გეოპოლიტიკურ კანონზომიერებებზე და გეოპოლიტიკური ტერიტორიების სტატუსის განსაზღვრაზე. საქართველოს და მსოფლიოს გლობალური მოთამაშეების გეოპოლიტიკურ ინტერესებზე.
- Study on NATO Enlargement – The North Atlantic Council (NAC), Brussels 1995.

  ეს არის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი გაფართოების სტრატეგია. სამაგისტრო ნაშრომი ნატოს გაფართოებას და საქართველოს შესაძლებლობებს ეხება, ამიტომ ნაშრომის შექმნა აღნიშნული დოკუმენტის გარეშე წარმოუდგენელია.

თავი 1 საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი

საქართველოს ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც მმართველები ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად იბრძოდნენ და უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს ბრწყინვალების მოკლე პერიოდების გარდა ,,მოყვარის“ მტრობითა და ორპირობით ტერიტორიულ მთლიანობის დარღვევას, რელიგიურ და სხვა სახის დამაზიანებელ შედეგებს ღებულობდა. ამ კუთხით გამორჩეულია 1918-1921 წლებში ,,ერთა ლიგაში“, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფარგლებში უცხო სახელმწიფოების,

სახელმწიფოთა გაერთიანების სახით სტრატეგიული პარტნიორის შერჩევის ღონისძიებები.

თანამედროვე ეტაპზე საქართველო ლობი სახელმწიფოს, სახელმწიფო გაერთანების მფარველობის მოსაპოვებლად ორი მიმართულებით: ,,ევროკავშირში“ და ,,ნატოში“ ცდილობს ინტეგრაციას.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1992 წლიდანვე იწყება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა წლების განმავლობაში სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ორმხრივი ურთიერთობები უფრო ინტენსიური 2003 წლიდან ხდება, როცა საქართველო აქტიურად იწყებს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარებას. ამ ურთიერთობებში სრულიად ახალი ეტაპი კი 2014 წლის 27 ივნისიდან იწყება, როდესაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი. საქართველო აქტიურად აგრძელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს და ამ პროცესის შესაბამისად სახელმწიფოებრივ განვითარებას.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს. საქართველო იზიარებს ნატოს ძირითად პრინციპებს, რომელიც ემყარება დემოკრატიას, პიროვნების თავისუფლებას და კანონის უზენაესობას. საქართველო ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციად განიხილავს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სამხედრო, პოლიტიკური და სხვა სახის რესურსები, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება, შეინარჩუნოს მშვიდობა.

საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მიზანია, რომ იყოს დაცული ქვეყნის უსაფრთხოება და სუვერენიტეტი, ქვეყნის განვითარება რამაც შემდგომ მოქალაქეების უსაფრთხოება და კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. საქართველოსთვის ნატოში

და ევროკავშირში ინტეგრაცია ნიშნავს ტრადიციებზე და ახლა ცოდნაზე დაფუძნებულ მეურნეობას, მაღალ სამხედრო სტანდარტებს, უკეთეს განათლებას და ჯანდაცვას. ყველაფერი ის რაც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების საქართველოში ცხოვრების სურვილს. საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებულმა კრიმინალურმა და კორუფციულმა სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ მოსახლეობას აიძულა ქვეყნის საზღვრები დაეტოვებინა და გასულიყვნენ რათა გაქცეოდნენ შექმნილ გარემოს.

1991 წლიდან მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა არჩევანი გააკეთა დასავლურ კურსზე. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდნარე ქვეყნის სუვერენიტეტი, უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა მუდამ საფრთხის წინაშე იდგა. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიების ძიება ევროატლანტიკურ სივრცეში დაიწყო.

1.1 საქართველოს და ნატოს თანამშრომლობის ისტორია

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა 1992 წლიდან იწყება, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC). აღნიშნულ ფორმატში, რომელსაც 1997 წლიდან ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ეწოდა, ალიანსის პარტნიორი და წევრი ქვეყნები სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ.

1994 წელს საქართველო ნატო-ს ,,პარტნიორობა მშვიდობისთვის" (PfP - Partnership for Peace პროგრამას შეუერთდა, ხოლო 1996 წლიდან აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სწავლებებსა და წვრთნებში.

2002 წელს პრაღაში გამართულ ნატო-ს სამიტზე საქართველომ პირველად გააჟღერა ნატო-ში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, სწორედ ამ დროიდან იწყება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესი. ამავე წლის დეკემბერში საბჭომ დაადასტურა საქართველოს ევროატლანტიკურ კურსში ჩართულობის გეგმა, რომელიც 5 ძირითადი პუნქტისაგან შედგება:

1) პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;

2) თავდაცვითი და სამხედრო საკითხები;

3) რესურსებთან დაკავშირებული საკითხები;

4) უსაფრთხოება;

5) სამართლის საკითხი[1]

2004 წელს საქართველო გახდა ალიანსის პირველი პარტნიორი სახელმწიფო, რომელთანაც ნატო-მ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (Individual Partnership Action Plan, IPAP) ფორმატში დაიწყო თანამშრომლობა. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე აიღო კონკრეტული ვალდებულებებ

2005 წელს ნატო-მ საქართველოში მეკავშირე ოფიცერი მოავლინა, ხოლო 2010 წელს. თბილისში ნატო-ს სამეკავშირეო ოფისი (NLO-NATO Liaison Office) გაიხსნა, რომლის მთავარი ამოცანაა საქართველოში მიმდინარე რეფორმებისა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა.

[1] "ნატო საქართველოს ურთიერთობა" -სტატია. ავტორი: ანანო ფაღავა 2016წ http://yata.ge/ge/?p=1018

2006 წელს ნიუ-იორკში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოსთან დაეწყო ,,ინტენსიური დიალოგი (Intensified Dialogue, ID). ინტენსიური დიალოგის ფორმატში იმართებოდა კონსულტაციები პოლიტიკურ, უსაფრთხოების, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების, თავდაცვის, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, ეკონომიკურ, მეცნიერების, განათლებისა და სხვა საკითხებზე.

საქართველოს მიერ IPAP-ით აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელების და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის პროცესში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, 2008 წელს ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება (Bucharest Summit Declaration), რომ „საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა“. აღნიშნული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ გზავნილს წარმოადგენს, რაც მრავალჯერ დადასტურდა ნატო-ს მომდევნო სამიტებზე.

2008 წლის 2-3 დეკემბერს ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საქართველო ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ყოველწლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელებას დაიწყებდა.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატო-ს შტაბ-ბინაში (ბრიუსელი) ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც საქართველო ფორმალურად მოიხსენიეს ასპირანტ სახელმწიფოდ, მონტენეგროსთან, ბოსნია და ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად.

2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე ალიანსის წევრმა ქვეყნებმა საქართველო ერთ-ერთ ყველაზე თავსებად პარტნიორად . 2014 წლის უელსის სამიტზე ნატო-ს თავდაცვის შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის (DCB) ფარგლებში საქართველომ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP) მიიღო, რომლის მთავარი მიზანია საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერება, ნატო-სთან თავსებადობის ამაღლება და ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა.

2015 წლის 1-2 დეკემბერს ბრიუსელში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს განცხადება „ღია კარის“ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მოკავშირეებმა კვლავ დაადასტურეს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. მნიშვნელოვანია, რომ ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა პირველად, საჯაროდ დაადასტურეს, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატო-ს წევრობისთვის მოსამზადებლად.

2016 წლის ნატო-ს ვარშავის სამიტის ფარგლებში პირველად გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ერთობლივ განცხადებასა და სამიტის კომუნიკეში აღინიშნა, რომ საქართველოს ყველა პრაქტიკული მექანიზმი აქვს წევრობისთვის მოსამზადებლად. მოკავშირეები მოუწოდებენ საქართველოს, განაგრძოს ყველა არსებული ინსტრუმენტის ეფექტური გამოყენება ალიანსთან დასაახლოებლად. გარდა ამისა, ვარშავის სამიტზე საქართველოსთვის დამატებითი პრაქტიკული ნაბიჯები განისაზღვრა.

1.2 ნატო საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმები და პროგრამები

ნატო-საქართველოს კომისია (NATO-Georgia Commission, NGC)

2008 წლის სექტემბერში დაფუძნდა ნატო-საქართველოს კომისია (NGC), რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური კონსულტაციების ფორმატს და პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს და მიზნად ისახავს საქართველოს მხარდაჭერას ალიანსში გაწევრიანების გზაზე. 2008 წლის 15-16 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) საქართველოში გასვლითი ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის პირველი დამფუძნებელი სხდომა. კომისიის ფარგლებში რეგულარულად ტარდება სხდომები ნატო-სთან თანამშრომლობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე როგორც მაღალ პოლიტიკურ, ასევე სამუშაო დონეზე.

2008 წლის 2-3 დეკემბერს ბრიუსელში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართულ NGC-ის სხდომაზე მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნატო-საქართველოს კომისია განახორციელებდა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შესრულების მონიტორინგს, წარმართავდა საქართველოსა და ნატო-ს შორის პოლიტიკურ დიალოგს სხვადასხვა დონეზე და გამოყენებული იქნებოდა, როგორც პრაქტიკული თანამშრომლობის კოორდინაციის მექანიზმი.

ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (Annual National Programme, ANP)

2008 წლის 2-3 დეკემბერს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) ყოველწლიურმა ეროვნულმა პროგრამამ (ANP) ჩაანაცვლა. პროგრამა წარმოადგენს საქართველოსა და ალიანსს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმს და ხელს უწყობს საქართველოს ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას.

ყოველწლიური ეროვნული პროგრამის დოკუმენტი მოიცავს ქართული მხარის მიერ წლის განმავლობაში დაგეგმილ რეფორმებს და მათი შესრულებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების ჩამონათვალს ვალდებულებების სახით, რომლიც ეყრდნობა საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებსა და ნატო-ს რეკომენდაციებს. დოკუმენტი წლის დასაწყისში მტკიცდება სამთავრობო დონეზე და წლის ბოლოს ხორციელდება შეფასება ნატო-ს მხარის მიერ.

დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი (Planning and Review Process, PARP)

"დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი" (PARP) ნატო-სთან თანამშრომლობის პრაქტიკული ინსტრუმენტია, რომლის მთავარი ამოცანაა პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ძალებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გავნითარების ხელშეწყობა. 1999 წლიდან საქართველო ნატო-ს "დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში" მონაწილეობს, რაც ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის შესაძლებლობების განვითარებასა და ნატო-სთან თავსებადობას. დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი ხელს უწყობს თავდაცვის ტრანსფორმაციის ეფექტურად წარმართვას ქვეყნის პრიორიტეტებისა და ალიანსის რეკომენდაციების გათვალისწინებით. აღნიშული მექანიზმის ფარგლებში საქართველოს მიერ განისაზღვრება პარტნიორობის მიზნები (PG), რომელთა განხორციელება ყოველწლიურად ფასდება ნატო-ს მხარის მიერ.[2]

ნატო-ს სამხედრო კომიტეტის + საქართველოს სამუშაო გეგმა (Military Committee + Georgia Work Plan, MC+GEO WP) და განხორციელების პროგრამა (IP)

2010 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, დაფუძნდა სამხედრო თანამშრომლობის ახალი ფორმატი და შემუშავდა ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა. სამუშაო გეგმა სამხედრო თანამშრომლობის მთავარ ამოცანებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს

განსაზღვრავს. დოკუმენტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება წლიური ეროვნული პროგრამით, "დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესით" და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას უწყობს ხელს.[2]

ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი (Joint Training and Evaluation Center, JTEC

2015 წლის 27 აგვისტოს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის ინაუგურაციის ცერემონია გაიმართა. აღნიშნული ცენტრი უზრუნველყოფს, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების, ასევე საერთაშორისო ქვედანაყოფების წვრთნასა და შეფასებას, რაც მიზნად ისახავს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებას და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობას.ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფი 2015 წლიდან მუდმივად იმყოფება საქართველოში. 2016 წლის 10-20 ნოემბერს JTEC-მა პირველად უმასპინძლა ნატო-საქართველოს ერთობლივ სიმულაციურ სწავლებას (NATO-Georgia Exercise 2016). ნატო-საქართველოს სწავლება 2016 ნატო-ს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლობის (ACT), ნატო-ს სახმელეთო ძალების სარდლობის (LANDCOM), გაერთიანებული ძალების წვრთნის ცენტრის (JFTC), პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერით გაიმართა.ნატო-საქართველოს სწავლებაში ჩართული იყო 250 მონაწილე, მათ შორის ნატო-ს 11 წევრი და 2 პარტნიორი ქვეყნის, ასევე ნატო-ს სტრუქტურაში შემავალი შტაბების წარმომადგენლები. ნატო-

[2] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, თბილისი 2008.

საქართველოს სწავლება 2016 რიგით მეორე საერთაშორისო სწავლებაა, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში განხორციელდა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (Defence Institution Bulding School, DIBS)

2016 წლის 28 ივნისს არსებითი პაკეტის ფარგლებში თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIBS) ჩამოყალიბდა. აღნიშნული სკოლა მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების ფართო სექტორის წარმომადგენლებისთვის პროფესიული შესაძლებლობების გაზრდას. თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის სწავლება/ტრენინგს თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, სკოლა ორგანიზებას უწევს სამუშაო შეხვედრების, დისკუსიებისა და კონფერენციების ჩატარებას უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებზე. ნატო-ს მხრიდან, აღნიშნულ ინიციატივას ხელმძღვანელობს გერმანია. გერმანელი და სლოვაკი ექსპერტები 2015 წლიდან იმყოფებიან საქართველოში. ამასთან, სკოლის შესაძლებლობების გაუმჯობესებას მხარს უჭერს ნიდერლანდების კლინგენდაელის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. გარდა ამისა, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტები საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და სკოლის შესაძლებლობების შემდგომი განვითარების მიზნით.

ნატო-ს პროგრამები:

ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა (Individual Partnership and Cooperation Programme, IPCP)

1996 წელს საქართველომ შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა (IPP), რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო უწყებების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სახის კურსზე, სემინარზე, კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაზე, მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით. ზემოხსენებული პროგრამა 2013 წელს გარდაიქმნა ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამად (IPCP) და განაგრძობს ქართველი წარმომადგენლების შესაძლებლობების განვითარებას ყოველწლიურად შემოთავაზებული ასობით ღონისძიების მეშვეობით.

ნატო-ს პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP)

2009 წელს ნატო-ს ეგიდით დაიწყო პროფესიული განვითარების პროგრამა (PDP), რომელიც მიზნად ისახავს საჯარო უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებას. პროგრამა განკუთვნილია თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლების პროფესიული ზრდისთვის და მიზნად ისახავს მათი პროფესიული უნარების შემდგომ განვითარებას სხვადასხვა კურსების, სწავლებების, სამუშაო შეხვედრებისა და სტაჟირების უზრუნველყოფით პარტნიორი ქვეყნების დახმარებით.

პროგრამის მხარდაჭერით 2011 წელს თავდაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა "სტრატეგიისა და ლიდერობის ცენტრი (Centre for Strategy and Leadership)/მოგვიანებით "პროფესიული განვითარების ცენტრი" (Professional Development Centre), რომლის საფუძველზეც 2016 წელს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში დაარსდა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (Defence Institution Building School, DIB).

ნატოს გონივრული თავდაცვის ინიციატივა (Smart Defence Initiative)

2012 წლის მაისში ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე საფუძველი ჩაეყარა გონივრული თავდაცვის ინიციატივას (Smart Defence Initiative) უსაფრთხოების სფეროში არსებულ და მოსალოდნელ გამოწვევებთან ერთიანი ძალისხმევითა და მინიმალური დანახარჯებით ეფექტურად გამკლავებისთვის. ინიციატივის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა მრავალეროვნული პროექტი ალიანსის წევრი ქვეყნების მხარდაჭერით. ქართული მხარე 2012 წლიდან მონაწილეობს რამდენიმე პროექტში, რომლებიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა გენდერის საკითხები, კიბერუსაფრთხოება, განათლება, და სხვა.

სამხედრო განათლების განვითარების პროგრამა (Defence Education Enhancmeent Programme, DEEP)

2009 წელს დაიწყო თანამშრომლობა ნატო-ს განათლების განვითარების პროგრამასთან (DEEP), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვისა და სამხედრო განათლების სფეროს განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. პროგრამა ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს საგანმანათლებლო და საწვრთნელი ინსტიტუტების მხარდაჭერას, სასწავლო პროგრამების ხარისხის ამაღლების, სასწავლო მეთოდოლოგიის დახვეწისა და პროცესების გაუმჯობესების საშუალებით. პროგრამა ფოკუსირებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და სერჟანტთა მომზადების ცენტრის შესაძლებლობების განვითარებაზე გამოცდილების გაზიარების, სხვადასხვა სწავლებისა და კურსის, ასევე, მობილური საწვრთნელი ჯგუფების (MTT) მეშვეობით.

ნატო-ს კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივა (Building Integrity (BI) Initiative)

საქართველო მონაწილეობს ნატო-ს გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ინიციატივაში (Building Integrity (BI) Initiative) და ჩართულია სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებასა და საწვრთნელ პროგრამაში, რომლის მიზანია თავდაცვის სფეროში გამჭირვალობის ამაღლება და კორუფციის რისკის შემცირება. პროგრამის ფარგლებში 2013 წელს ქართული მხარის მიერ შევსებულ თვითშეფასების კითხვარსა და ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზზე დაყრდნობით, ნატო-ს მხარემ შეიმუშავა შეფასების დოკუმენტი (Peer Review Report), სადაც დეტალურად არის გაწერილი თავდაცვის სამინისტროს მიერ მიღწეული პროგრესი სხვადასხვა მიმართულებით.

განაღმვა/ნატო-ს მხარდაჭერისა და შესყიდვების სააგენტო (NATO Support and Procurement Agency, NSPA)

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ნატო-ს მხარდაჭერისა და შესყიდვების სააგენტოსთან (NSPA – NATO Support and Procurement Agency) 2002 წლიდან. თანამშრომლობის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP) ნდობის ფონდის (Trust Fund) ოთხი პროექტი: „საქართველო I", „საქართველო II" , „საქართველო III" , და "საქართველო IV". ბოლო პროექტი - „საქართველო IV" 2017 წლის შემოდგომაზე წარმატებით დასრულდა.[3] პროექტი ითვალისწინებდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად აფეთქებული სკრის ყოფილი სამხედრო საცავის დასუფთავებასა და საქართველოს

შეიარაღებული ძალების საინჟინრო (EOD) ასეულის საერთაშორისო განაღმვის საერთაშორისო სტანდარტების მე-3 და მე-4 დონეების შესაბამისად გაწვრთნას.[3]

ნატო-ს პარტნიორობის განათლებისა და წვრთნის ცენტრი (PTEC)/საჩხერის სამთო მომზადების სკოლა

2006 წლის 14 აგვისტოს დაარსდა საჩხერის სამთო მომზადების სკოლა. 2010 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით საჩხერის სამთო მომზადების სკოლას მიენიჭა ნატო-ს წვრთნისა და განათლების ცენტრის სტატუსი (PTEC).

2011 წლიდან სკოლა ატარებს ზამთრის და ზაფხულის საბაზისო და შუალედურ სამთო მომზადების საერთაშორისო კურსებს, სადაც მონაწილეობას იღებენ ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები.

1.3 . საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა

საქართველოს და ნატოს შორის სამხედრო თანამშრომლობა იწყება 1993 წლიდან , თუმცა ამ პერიოდიდან რეალური შედეგები არ მოჰყოლია ამ თანამშრომლობას. ამ მიმართულებით კონტაქტების გამყარება იწყება პროგრამა ,, პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ამოქმედების და დამტკიცების შემდეგ. ურთიერთობა განმტკიცდა მას

[3] ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია-[ელექტრონული წყარო]. *https://ka.wikipedia.org*.

https://ka.wikipedia.org/wiki/ჩრდილოატლანტიკური_ხელშეკრულების_ორგანიზაცია

შემდეგ რაც ალიანსსა, აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის გაფორმდა ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა (IPP)

ამ პროგრამის ძირითად ნაწილში აღნიშნულია, რომ დოკუმენტზე დაყრდნობით საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი სეიტანოს. ძირითად ნაწილში ასევე ხაზგასმულია ის რომ ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა ყოველწლიურად გადასინჯული და განახლებული უნდა იყოს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. დოკუმენტის პირველ ნაწილში დეტალურადაა თავმოყრილი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის მიერ გამოყოფილი ის რესურსები და ძალები რაც გასნახორციელებლადაა საჭირო. ეს საკითხებია:

- ✓ საგანგებო-სამოქალაქო სიტუაციების დაგეგმვა;
- ✓ კრიზისის მართვა;
- ✓ საქართველოში შეარარებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი;
- ✓ თავდაცვის დაგეგმვისა და ბიუჯეტის სფერო;
- ✓ თავდაცვის უზრუნველყოფა, მატერიალურ ტექნიკური მომარაგება;
- ✓ თავდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია
- ✓ თავდაცვის სტრუქტურები, წვრთნები და ოპერაციები, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ქართველ ოფიცერთა მომზადება, სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის.[4]

ინდივიდუალური პარტნიორობის ორგანიზაციით გათვალისწინებული თანამშრომლობა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის შეიარარებული ძალების

[4] ნატო- ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი: საქართველო ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი ნიკა ჩიტაძე

მოდერნიზაციას, მის ნატოს სტრუქტურებთან დაახლოებას და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

საყურადღებოა ასევე თავდაცვის სტრუქტურები, სამხედრო წვრთნებისა და ოპერაციების სფერო, რომლის ფარგლებშიც 1996 წელს გადაწყვეტილი იქნა საქართველოს სამხედრო პერსონალის ჩართვა ამ წვრთნებში, დაგეგმვისა და მომზადების პროცესში (სულ 9 ერთობლივი წვრთნა). ასევე ხაზგასასმელია სამაშველო და ფუმანიტარულ პერაციაბში ჩართულობა და მონაწილეობის მიღება. გამონაკლის წარმოადგენს ,,Cooperctive Ospray" ერთობლივი წვრთნა, რომელიც 1996 წლის სექტემბერში ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს იყო პირველი ამ სახის ღონისძიება, რომელშიც საქართველოს მხრიდან წარმოდგენილი იყო სამხედრო ქვედანაყოფი (ოცეულით). ამ პერიოდში განიხილება სწორედ საქართველოს მომზადება სამშვიდობო ოპერაციებისათვის. ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა ნატო- საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში ითვალისწინებდა სამხედრო ინფრასტრუქტურის საკითხებზე მუშაობას. თავდაპირველად იგეგმებოდა ნატოს სპეციალისტების ვიზიტი, რათა მომხდარიყო საქართველოში არსებული ობიექტების და რესურსების ექსპერტიზა. ეს პროცესები გაწერილი არის ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის სამოქმედო გეგმაში საქართველოს მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის თანამშრომლობის სფეროებიდან სტანდარტიზაცია და თავსებადობა საქართველოსთან. ცნობილია რომ ნატოს და საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა, ამიტომ ერთნაირი სამხედრო პარამეტრების არსებობა გამორიცხული იყო დღის წესრიგიდან, თუმცა რეალობიდან გამომდინარე, საქმე ეხებოდა არამარტო სამხედრო შეიარაღებას არამედ მასთან დაკავშირებულ სამხედრო და სამაქალაქო საქმიანობის ფართო

არეალს. ამრიგად იგეგმებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნა ნატოს სტანდარტების მიხედვით

ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა განათლებას და სამხედრო წვრთნის მიმართულებებს. ეს გულისხმობდა ენობრივ და სხვა სპეციალურ კურსებს ნატოს სკოლებში, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, მომხსენებელთა ტურები. ამ პროგრამის მთავარ მიზახნს წარმოადგენს საქართველს შეიარაღებული ძალების ახალ მოდელირებას, ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას და საერთო ჯამში ეს ყოველივე ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებას უწყობს ხელს. აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიულ კონტროლს. ჩნდება კითხვა თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს? დემოკრატიულ სახელწიფოში სამხედრო ხელისუფლება ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს ფინანსური ანგარიშები ქვეყნის პარლამენტთან და მთავრობასთან. ეს პროცესი ამცირებს კორუფციას პირველ რიგში

1995 წლის 31 მაისის შეხვედრაზე მიიღეს დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ძალები განლაგდებია. საქართველო პირველი იყო რომელიც შეუერთდა ამ პროგრამას. საქართველო მიირებდა მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციებში თუმცა პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის დაგეგმვისა და ანალიზის PABP -ის ჩართვის შემდგომ, რომელიც მიზნად ისახავდა პარტნიორი სახელმწიფოებისგან სტანდარტების თავებადობის მიღწევას ნატოს სტანდარტებთან. ეს პროცესი მეტად რთული და შრომატევადია და რომლის მიზანსაც პარტნიორობა მშვიდობის პროგრამაში მონაწილე ქვეყნების შეარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე გადასვლას ემსახურება. ,,[3] ყოველი ცალკეული ქვეყნის PABP განსაზღვრავს თავსებადობის მიმართულებებსა და დონეს, იმ პრიორიტეტებსა და პარამეტრებს, რომელსაც უნდა დაეფუძნოს პარტნიორობა მშვიდობის პროგრამა.

PABP გახლავთ სწორეს ის მექანიზმი, რომელიც ანიჭებს პარტნიორობა მშვიდობის პროგრამას ერთ ერთ მთავარ ფუნქციას და მიზანს, ნატოსთან თავსებადობის მიღწევაში. 1999 წლის მარტში საქართველს გადაეცა PABP-ის პროცესში მონაწილეობის კითხვარი-შეფასება, რამაც ფაქტიურად დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას ამ მნიშვნელოვან პროცესში.[5] PABP-ის ფარგლებში ალიანსთან თავსებადობის მისაღწევად საქართველომ აიღო ვალდებულება 25 (თავსებადობის, ამოცანის) განხორციელების თაობაზე, კერძოდ, გადაწყდა რომ სამშვიდობო ოპერაციებისათვის საქართველო გამოყოფდა ერთ ერთ ქვეით ბატალიონს , ერთ ასეულს და ერთ საინჟინრო ოცეულს, რომლებიც მზად უნდა ყოფილიყვნენ უკვე 2000 წლისათვის ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი : საქართველო ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი ნიკა ჩიტაძესაქართველოში ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი წვრთნები იყო 2001 წლის ზაფხულში ე.წ პრტნიორობა მშვიდობის პროგრამის წვრთნები, სადაც მონაწილეობა 4000-მდე სამხედრო მოსამსახურემ მიიღო. საქრთველომ 2002 წელს მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებს Cooperative Best Effort-ს უმასპინძლა. ამავე დროს საქართველომ მონაწილეობა მიიღო 83ზე მეტ წვრთნებში. იმავე პერიოდში საზღვარგარეთ გაიგზავნა 167 ოფიცერზე მეტი. 2003 წელს ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას ალიანსსა და ქართულ მხარეს შორისო, რომელიც ითვალისწინებდა საქართველს ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი სამხედრო ბაზების - ფონიჭალის, ჭალადინისა და ვაზიანის განიარაღებასთან თანხების გამოყოფა.

1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე მირებული იქნა ,,გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP) იგი 5 თავისაგან შედგება:

- ✓ პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები

[5] ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი : საქართველო ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი ნიკა ჩიტაძე

- ✓ თავდაცვისა და სამხედრო სფერო
- ✓ რესურსები
- ✓ უსაფრთხოების საკითხები
- ✓ სამართლებრივი საკითხები[6]

აღსაღნიშნავია რომ თავდაპირველად საქართველოს სამხედრო ძალებმა ვერ დააკმაყოფილეს სტანდარტები, რაც გამოწვეული იყო იმით რომ აქამდე მომზადებას გადიოდნენ საბჭოთა მეთოდებით, რაც თანამედროვერეალობისთვის შეუსაბამო და არათავსებადი აღმოჩნდა. ამ მიზნით 2002 წლიდან კრწანისის ბაზაზე დაიწყო პირველი ბრიგადის შემადგენლობის გაწვრთნა.

2005წელი იყო მეტად მნიშვნელოვანი, როდესაც დამტკიცდა საქართველოს უმთავრესი დოკუმენტი-ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. იგი მოიცავს საქართველოს ეროვნულ ინტერესს, უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს, საფრთხეებსა და ძირითად გამოწვევებს. 2005 წელს საფრათხეების შეფასების დოკუმენტი შემუშავდა და იგი ყოველწლიურად განახლების პროცესშია. აღსაღნიშნავია რომ ნატოს 21 ქვეყნიდან 2006 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრიანების საკითხზე, რომელიც სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება. 2007 წელს ნატოს შემფასებელი ვიზიტის შემდეგ IPAP-ს და PABP-ით ვალდებულების შესრულების მნიშვნელოვანი შედეგები მივიღეთ, რაც გამოწვეული იყო გატარებული რეფორმებით

2007 წელს თავდაცვის მინისტრმა განსაზღვრა თავდაცვის პოლიტიკის სამი ძირითადი პრიორიტეტი:

- საქართველოს შეიარაღება და მისი შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდეს მოსალოდნელ გამოწვევებსა და საფრთხეებს;
- ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება;

- თავდაცვის სისტემის გაუმჯობესება.[6]

თავდაცვის სამინისტროს მთავარი რეფორმა გულისხმობს, რომ თავდაცვის სამინისტრო გადაიქცა სამოქალაქო უწყებად და მას სამოქალაქო მინისტრი ხელმძღვანელობს, ხოლო ფუნქციები გადანაწილებულია მინისტრსა და გენერალურ შტაბს შორის. თავდაცვის სისტემის ანგარიშვალდებულება გარანტირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, დაამტკიცოს თავდაცვის ბიუჯეტი. ნატოს მხარე ქართველი სამხედრო მოსამსახურეების საწვრთნელ პროგრამებს სრულად აფინანსებდა, დაახლოებით 50% დაფინანსებული პროექტი ცნობილია. კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარეობს სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის პროგრამა SSOP რაც ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო დანაყოფების უმაღლეს დონეზე გაწვრთნასა და აღჭურვას. ყველა ზემოთ აღნიშნულ პროცესებთან ერთად მიმდინარეობს ძველი გამოუსადეგარი საბჭოთა შეიარაღების ჩამოწერა და გაბადგურება, ხოლო მათ ნაცვლად თანამედროვე ნატოს სტანდარტებით აღჭურვა და შეიარაღება ხდება. მიუხედავად მოდერნიზაციის პროესისა, საქართველო რეგიონში ითვლება როგორც მცირერიცხოვანი ქვეყანა, თუმცა ეფექტური შეიარაღებული ძალის მქონე. საქართველოს შეიარაღება მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღების ხელშეკრულებებით დადგენილ ლიმიტებზე. მნიშვნელოვანია რო

[6] ნატო- ცრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი: საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი: ნიკა ჩიტაძე.

ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისით წინ მიიწევს და ამ კუთხით გამორჩეულია 2006 წელს აშენებული სენაკის სამხედრო ბაზა და სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობა, რომელიც 180 პაციენტზეა გათვლილი. ასევე ხაზგასასმელია ის მნიშვნელოვანი ფაქტი რომ გაუმჯობესდა ანაზღაურება სამხედრო მოსამსახურეების.

საქართველო კვლავ განაგრძობს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას. რათა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მომავალში დაგეგმილია საქართველოს სამხედრო კონტიგენტის გაზრდა ერაყში 2000 კაცამდე. საქართველო 2004 წელს მონაწილეობას ღებულობდა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში. ამ მიმართულებითაც იგეგმება გაზრდა სამხედრო კონტიგენტის.[7]

ზემოთ აღნიშნული პროცესებიდან ნათელია, რომ საქართველო აქტიურადაა ჩართული ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში და ყველა ღონეს იყენებს რომ დააკმაყოფილოს სტანდარტები. ყოველივე წარმოუდგენელი იქნება ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება მთლიანად ეკონომიკურ ძლიერებას ემყარება. ამიტომ ახალი რეფორმებით სამხედრო ბიუჯეტში შეტანილია ისეთი ცვლილებები, რომლის მიხედვითაც ფინანსურად უზრუნველყოფს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და ყოველივე ეს ხდება ქვეყნის სხვადასხვა საქმიანობის ინტერესების შელახვის გარეშე. ნატოში გაწევრიანებას მოჰყვება ალიანსის წინაშე პასუხისმგებლობის ზრდა და ამ შემთხვევაში თუ ნატოს წევრი ქვეყანა აღმოჩნდება თავდასხმის ერთ-ერთი მხარე, მასში საქართველო, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა, ვალდებულია დაეხმაროს. ,,არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი ისევ და ისევ ქვეყნების სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე. არ არის გამორიცხული ნატოს სამხედრო ბაზის განლაგება ქვეყნის

[7] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, თბილისი 2008.

ტერიტორიაზე. ამ მხრივ გავრცელდა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკა კავკასიაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებას გეგმავს. ამის შესახებ ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰენრი ობერინგმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ამგვარად PARP-თან მიერთებით საქართველომ გადადგა პრინციპული ნაბიჯი თავისი შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების შესაბამისად რეფორმების თვალსაზრისით.

ასეთი ჩამონათვალის შემდეგ ალბათ ჩნდება კითხვა თუ რა პრაქტიკული შედეგები მოუტანა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობამ?

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს შემდეგი: თანამშრომლობამ ხელი შეუწყო თანამედროვე სტანდარტებზე ქართული ჯარის მშენებლობის დაწყებას. სწორედ ,,დაწყებას", რადგან ასეთი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება საკმაოდ გრძელი და რთული პროცესია, რასაც არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მზრუნველობა სჭირდება, არამედ თანამედროვე ხედვაც. ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია ოფიცერთა ახალი პლეადა, რომლებსაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი თუ რა მიზნები და ამოცანები სგას თანამედროვე შეიარაღებული ძალების წინაშე და როგორ უნდა მოხდეს მათი რეალიზაცია.

სამხედრო როფორმების მიმართ ინიციატივიანი და გაბედული მიდგომის შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას მომავალშიც შეიძლება ჰქონდეს ნატოს მზარდი დახმარების იმედი.[8]

[8] ნატო- ცრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი: საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი: ნიკა ჩიტაძე.

თავი 2. საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები ჩრდილოატლანტიკურ ალიანში გაწევრიანების გზაზე

საქართველო დღეს თავისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზეა გადასული. სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული ქვეყანას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. უნდა ავღნიშნოთ რომ ვარდების როვულუციის შემდგომ ქვეყანამ მკვეთრად შეიცვალა საგარეო კურსი და დღეს ეს კურსი მიმართულია დასავლეთისკენ. საქართველოს არსებობის თითქმის ყველა ეტაპზე მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით და ხშირად ვღებულობთის ტერიტორიული და რელიგიური დარღვევის ნიშნებს. ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლობის დაკარგვაც მოჰყოლია ამ პროცესებს. იმისათვის რომ თანამედროვე ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში იარსებოს პატარა ქვეყნებმა ისინი ცდილობენ გაერთიანდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში, ეს იქნება პოლიტიკური თუ ეკონომიკური ორგანიზაცია, რათა გაიხანგრძლივონ და შეინარჩუნოს ქვეყნის უსაფრთხოება და ტერიტოიული მთლიანობა. საქართველოც ერთ ერთ მათგანს

წარმოადგენს და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩასახვის დღიდან მოიპოვოს წევრობა. ამის ნათელი მაგალითია 1918-1921 წლებში ერთა ლიგაში გაერთიანების სწრაფვა, რომელის საბოლოო ჯამში დიდი ქვეყნების გავლენის ზემოქმედებით უარყოფილი იქნა.

ბოლო რამდენიმე წელია საქართველო ყველა ღონებს იყენებს რომ გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ორგანზაციაში, თუმცა თუ დავაკვირდებით მოვლენათა განვითარებას ნათლად ჩანს, რომ 2008 წელს როდესაც ნატოს წევრმა ქვეყნებმა დადასტურებით გამოთქვეს აზრი რომ საქართველო მზადაა გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება მოვლენათა ნეგატიური პროცესების დაწყება, რასაც უკვე 2018 წლის ჩათვლით ბოლო არ უჩანს. დღითი დღე იწევს ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონოიკური არასტაბილურობის და უკონტროლობის კოეფიციენტი, ჩნდება მეტი დაუდგენელი საზღვრები, რას საბოლოო ჯამში გვაშორებს გაწევრიანების სტანდარტებს. კონტროლის არარსებობა სახელმწიფოს საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე, მეზობელ სახელმწიფოებში კონფლიქტების მოუგვარებლობა, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიაში სტაბილურობის დარღვევამ შესაძლოა საქართველოს კონფლიქტში ჩათრევაც გამოიწვიოს. ამ ყველაფერს დაემატა 2008 წლის ომი რასაც მოჰყვა მცოცავი ოკუპაცია, რის გამოც დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა.

ჩემი აზრით ზემოთ ჩამოთვლილი კონფლიქტების ნაწილი ხელოვნურად შექმნილი და დროში გაწელილია, რადგან საბოლოოდ შეაჩვიონ იმ აზრს ქართველი საზოგადოება, რომ ნატოში გაწევრიანება მხოლოდ ოცნებაა და ოცნებად დარჩება. ამას პირველ რიგში იწვევს ის პოლიტიკური ერთეულები რომლებიც წინააღმდეგი არიან საქართველოს არჩეული კურსით და ყველა ღონეს იყენებენ დათესონ არეულობა, უნდობლობა და კონფლიქტი როგორც ქვეყნის შიგნით ისე რეგიონალური მასშტაბით.

2.1 2008 წლის ომის მიმოხილვა

რაც უფრო მეტი დრო გავა მით უფრო მკაფიოდ გამოჩნდება 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის და მთელი მსოფლიოსთვის. რუსეთის ფართომასშტაბიანმა აგრესიამ საქართველოს სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგებელთა ლექსიკონში გაჩნდა მანამდე უცნობი ტერმინი ,,სახელმწიფოს ჩამოშლის" საფრთხე.

მოვლენათა ასეთ განვითარებას რეალურად არავინ ელოდა არც ცივილიზებული სამყარო და არც საქართველო. ცხადია ყველა ხედავდა რომ რუსეთი უფრო აგრესიული გახდა საქართველოს მიმართ, სულ უფრო აქტიურობდა ,,მცოცავი ანექსიის" პოლიტიკა აფხაზეთსა ცხინვალის რეგიონში. ცნობილი იყო საქართველოს ნატოსკენ სწრაფვით გამოწვეული მოსკოვის გაღიზიანებაც. შესაბაისად რუსეთი მოსალოდნელი იყო ,,პროვოკაციები"- აფხაზები რუსეთის მხარდაჭერით იერიშს მიიტანდნენ კოდორის ხეობაზე, მაგრამ როგორც ჩანს ფიქრონდნენ რომ რუსეთის აგრესიული ქედებები არ გასცდებოდა ,,სეპარატისტულ რეგიონების" ფარგლებს. ყოვე შემთხვევაში ასეთი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დამკვიდრებული ,,თამაშის წესები".

აღმოჩნდა რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია საფუძვლიანად იყო მომზადებული. ხდებოდა კოპირება იმისა, რაც დასავლეთმა სერბიის ანდა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ განახორციელა. ,,საქართველოს ხელისუფლებას ბრალი უნდა დასდებოდა აფხაზთის ან ოსების გენოციდში, რმლებიც გარდა იმისა რომ პატარა ხალხები არიან, რუსეთის პასპორტებითაც არიან მომარაგებულნი. საქმეში მოსკოვი

ჩაერთვებოდა და ,,მშვიდობისათვის იძულების“ ოპერაციის ჩატარებით არა უბრალოდ ამხობდა საქართველოში არსებულ ელისუფლებას, არამედ დამნაშავედ აცხადებდა და ასამართლებდა, როგორც ეს ყოფილ იუგოსლავიაში და ერაყში მოხდა“.[9]

რუსი გენერლების მიერ საქართველოს ,,ჭკუის სწავლების“ გეგმა კარგად მომზადებული იყო. მისი განხორციელების დრო აგვისტოს არ უნდა გასცდენოდა. უფრო გვიან კლიმატური პირობების გაუარესება გაართულებდა რუსეთის არ მიის მოქმედებებს, თანაც კარგა ხნით მსოფლიოს ყურადღება პეკინის ოლიმპიადისკენ იქნებოდა მიმართული. აგვისტოს დასაწყისში მკვეთრად დაიძაბა ვითარება ცხინვალის რეგიონში. აგრესორები საბაბს ეძებდნენ და ქართული ჯარების ცხინვალში შესვლა გამოიყენეს. დროთა განმაცლობაში გაირკვა, რომ საქართველოს ხელისუფლება ,,ხაფანგში“ შეიტყუეს თუ მართლაც სხვა გამოსავალი არ იყო და აუცილებელი გახდა ჩრდილოეთიდან დაძრული შემხვედრი ბრძოლის გამართვა

მოვლენათა იმ დროინდენ განვითარებას თუ დავაკვირდებით ნათელი გახდება თუ რა მიზნით დაიწყო რუსეთმა 2008 წლის ომი და რა იყო მისი მთავარი ლაიტმოტივი რაც ამ პროცეს უსწრებდა წინ. დავიწყოთ ფაქტების ქრონოლოგიური განხილვა.

1) ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება რასაც 1999 და 2004 წლებში მოჰყვა ჯერ სოციალური ბანაკის 3 ქვეყნის (1999), ხოლო შემდგომში შვიდი სახელმწიფოს (2004). მათ შორის ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო გახდა ნატოს წევრი. 2008 წელს კი ნატომ ორი სახელმწიფო ალბანეთი და ხორვატია მოიწვია გასაწევრიანებლად. 2007 წელს კი შავი ზღვის ორი სახელმწიფო ბულგარეთი და რუმინეთი გაწევრიანდნენ.

[9] .პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. რუსეთი რეგიონალური კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. თბილისი2008 წ. რედაქტორი- თემურ ქარელი გვ:31-35

2) რუსეთის გვერდის ავლით კასპიისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშუტების განვითარება. 2008 წელს დასავლეთის წამყვან ნავთობკომპანიებსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის გაფორმდა ე.წ ,,საუკუნის კონტრაქტი. რომლის მიზანსაც კასპიის რეგიონში მოპოვებული ნავთობის და გაზის ტრანსპორტირებას ითვალისწინებდა დასავლეთის მიმართულებით.

3) ,,ფერადი რევოლუციები" როდესაც 2003 წელს მოხდა არჩევნების გაყალბება რასაც მოჰყვა ,,ვარდების რევოლუცია" და ედუარდ შევარდნაძე გადადგა ხელისუფლებიდან. ამას მოჰყვა 2004 წელს უკრაინაში არჩევნების გაყალბება ,,ნარინჯისფერი რევოლუცია და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ჩატარების შემდეგ ხელისუფლების სათავეში ვიქტორ იუშენკოს პროდასავლური კოალიცია მოვიდა.

4) კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობის მიერ.

რუსეთს ამ თამამი ნაბიჯის გადასადგმელად დამატებით კიდევ რამდენიმე ფაქტორმა უბიძგა:

- ნავთობის და გაზის მაღალმა ფასებმა რუსეთს უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ჭარბი რაოდენობის რეზერვები შეუქმნა.
- 2008 წლის 28 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ახალი სამშვიდობო წინადადება სესთავაზა სოხუმს, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას სადაც აფხაზეთის წარმომადგენლობას, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტსაც ახალ კონსტიტუციურ პოსტს, რომელსაც ექნებოდა ვეტოს უფლება და ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო სივრცის შეექმნა. აფხაზურმა მხარემ წინადადება არ მიიღო.

- 2008 წლის აპრილის დასაწყისში ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეთავაზებინა გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) საქართველოსა და უკრაინისათვის, თუმცა იმის გარანტი მისცა, რომ გახდებოდნენ წევრი ქვეყნები,
- 20 აპრილს აფხაზეთის თავზე რუსულმა მიგ-29-მ ქართული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო[11]

ზემოთხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე 2008 წლის 8-12 აგვისტოს განმავლობაში რუსეთმა საქართველ წინააღმდეგ განახორციელა ფართომასშტაბიანი აგრესია სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, სახმელეთო შეტევა როკის გვირავის გავლიტ ცხინვალის რეგიონში. კიბერშეტევები საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფოს უწყების ვებ-გვერდების წინააღმდეგ; სამხედრო აგრესია ზემო აფხაზეთში, სადაც მანამდე ქართულ შენაერთებს არანაირი ქმედება არ განუხორციელებიათ; საქართველოს საფაერო სივრცე დაახლოებით 200-ჯელ დაირღვა და მასობრივად დაიბომბა საქართველს ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო თუ სამოქალაქო ობიქტები და დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა; საქართველოს საზღვაო სივრცეში- ტერიტორიულ წყლებში შემოიჭრა და საქართველოს მთავარი

,,საზღვაო ჭიშკარი"- ფოთი დაიკავა; მძლავრი ანტიქართული საინფორმაციო კომპანია, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა საქართველოს დისკრედიტაციის მიზნით.[10]

ამ პროცესებში საქართველო სამხედრო თვალსაზრისით მარტო აღმოჩნდა და მოუწია გამკლავებოდა იმ ქვეყანას და იმ სამხედრო ძალას რომელიც ბევრად

[10] ნატო მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი. ავტორი: ნიკა ჩიტაძე. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.14

აღემატება საქართველოს როგორც ტერიტორიით ისე სამხედრო აღჭურვილობით. რუსეთმა დაარღვია მის მიერ ხელმოწერილი ევროკავშირთან ექვსპუნქტიანი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებდა მეორე დღეს დაიკავა გორი და შიდა ქართლის დასახლებული პუნქტები, გადაკეტა მთავარი მაგისტრალური საავტომობილო გზა და ააფეთქა რკინიგზა, ასევე დაბლოკა ფოთის პორტის ფუნქციონირება. ამით რუსეთს სურდა საქართველოს სრული ეკონომიკური ბლოკადა და თავისი სამხედრო გეგმების გაგრძელება. ამ პერიოდში საქართველოში დაბრუნდა 2000 ქართველი სამხედრო მოსამსახურე ერაყიდან. საქართველ ამ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული რამდენიმე სამხედრო გემი და თვითმფრინავი. რუსეთის ქმედებები დაგმობილი იქნა ევროკავშირის მიერ . 2008 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი იძულებული იყო აეღო ვალდებულება გაეყვანა თავისი სამხედრო სენაერტები სამეგრელოდან და სიდა ქართლიდან,

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საერთაშორისო სამართლის და მორალის ყველა წესი დაარღვია მოახერხა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაცია. რუსეთმა ვერ გაანადგურ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ ყოველივეს მოჰყვა უარყოფითი შედეგები რუსეთისთვი, კერძოდ, მან დაკარგა ნდობა საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების თვალში, მან დაკარგა საკუთარი ,,სამშვიდობო მანდატი“ და ეს პასუხისმგებლობა ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო. პირველი დარტყმა რუსეთმა ეკონომიკური თვალსაზრისით მიიღო, სხვადასხვა მონაცემებით ქვეყნიდან რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარზე ეტი გავიდა, საფონდო ბირჟის ინდექსი კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცილდა, ცენტრალურ ბანკს მსხვილი ინტერვენციები დასჭირდა, რათა რუბლის კურსი შეენარჩუნებინა.

,,2008 წლის აგვისტოს იმში, რუსეთის ერთ-ერთი მიზანი იყო შეეჩერებინა საქართველოს სახელწიფო ინსტტუტების გაძლიერება. 2004-2008 წლებში

საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ირწმუნა, რომ ქვეყანის სახელმწიფოს უკვე შეუძლია ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებზე გამკლავება. 2004 წელს საქართველომ აღადგინა კონტროლი აჭარაზე, 2006 წელს ზემო აფხაზეთზე. განხორციელებული იქნა მნიშვნელოვანი რეფორმები კრუფციასთან ბრძოლის, ახალი საგადასახადო სისტემის შემუშავების, უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებისა და მოდერნიზაციის მიმართულებებით. მოსახლეობაში გაჩნდა რწმენა იმისა, რომ სახელმწიფოს შეეძლო საკადრისი პასუხი გაეცა ყველასათვის მათ შორის ისეთი ძლიერი მეზობლისთვის, როგორიცაა რუსეთი. თუმცა რუსეთის აგრესიის შემდეგ, როგორც რუსეთი, ასევე საქართველოში არსებული გარკვეული დესტრუქციული შიდა პოლიტიკური ძალები ქადაგებენ იმას, რომ აგვისტოს ომის შემდეგ საქართველს მთავრობა აკონტროლებს უფრო ნაკლებ ტერიტორიებს, ვიდრე კონფლიქტის ესკალაციამდე“. [11]

2008 წლის აგვისტოს ომის რუსეთ-საქართველოს ომის ერთ-ერთი შედეგი ისაა რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ პრობლემის არსი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში როდის. ეს მხოლოდ რუსეთის აგრესიის სენიღბვის საშუალება იყო, თავის დროზე რიგი მიზეზების გამო შევარდნაძე დათანხმდა რუსეთის მიერ ნაკარნახევ ,,თამაში წესებს“, რომლის მიხედვითაც რუსეთი არა ოკუპანტის როლში გამოვიდა, არამედ სამშვიდობო და შუამავლის ისიები დაეკისრა. 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთი გაკვეთილი ისაა, რომ არ შეიძლება გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების გამო სიმართლის დამალვა. სიმართლე მნიშვნელოვანი ბარიერია, რომელიც აგრესორს თავისი მიზნების განხორციელებაში ხელს უწყობს.

საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესიის განხორციელებით რუსეთი შეეცადა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შეექმნა და რეგიონი მთლიანად

[11] ,,გეოპოლიტიკა“ ავტორი ნიკა ჩიტაძე. თბილისი 2011. გბ:566-578

თავის გავლენის სფეროში დაებრუნებინა. ამ პროცესების შემდეგ შეიძლება გაოიყოს ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციის ძირითადი ნიშნები:

- ✓ რუსეთის სამხედრო დომინირება კავკასიაში და ,,ხელების გახსნა" საომარი ქმედებებისათვის
- ✓ რუსეთის მცდელობა საქართველოს დააკარგვინოს სატრანზიტო ფუნქცია;
- ✓ იკვეთება კავკასიაში რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობისა და მათ მიერ სხვა დიდი გეოპოლიტიკური აქტორების შევიწროების მცდელობა;
- ✓ დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს მიმართ ვერ ანეიტრალებს რუსეთის აგრესიის სედეგებს. შექმნილ ვითარებაში საქართველოს უმთავრესი ამოცანაა თავიდან აიცილოს აღნიშნული და სხვა ნეგატიური გეოპოლიტიკური ტენდენციები.

2.2 რუსეთის ფაქტორი ევროინტეგრაციის პროცესში

საქართველოს ნატოში საბოლოო გაწევრიანებამდე ამ პროცესის ხელისშეშლის მიზნით არსებობს უდიდესი საფრთხე რუსეთის მხრიდან, რომელმაც შესაძლოა განახორციელოს პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ და შესაბამისი ზეწოლა იქნეს განხორციელებული ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების შესაქმნელად, რათა მოსკოვმა აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, რომ თბილისმა უარი განაცხადოს ნატოში შესვლაზე.

რუსეთის მხრიდან საქართველოს პირველ რიგში შეიძლება დაემუქროს პოლიტიკური, ეკონომიკურ-ფინანსური და სამხედრო ხასიათის საფრთხეები.

პოლიტიკური ხასიათის საფრთხეები: შესაძლებელია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღოს კანონი, რომელიც გაამარტივებს უცხო ქვეყნების ტერიტორიების მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების შემთხვევაში ეს შეიძლება ახსნილ იქნეს "ქართული აგრესიისაგან" აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაცვისა და მცირე ერების ფიზიკური დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებად. ამ მხრივ რესეთმა შესაძლოა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს „კოსოვოს პრეცენდენტი";

რუსეთი კიდევ უფრო გაუზრდის დახმარების მოცულობას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებებს, რაც გამოიხატება როგორც ფინანსური და ეკონომიკური ხასიათის დახმარებაში, ასევე სეპარატისტული რეგიონების უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სხვადასხვა ტიპის სამხედრო შეიარაღებით აღჭურვაში. მაგალითად უკვე გაჟონა ინფორმაციამ, რომ 2008 წლის განმავლობაში რუსეთი აფხაზეთს დაახლოებით 2 მილიარდი რუსული რუბლის დახმარებას გამოუყოფს;

რუსეთი ყველა დონის საერთაშორისო ორგანიზაციაში მოახდენს ანტიქართული პოლიტიკის ლობირებას. საინფორმაციო ომს გამოუცხადოს ჩვენს ქვეყანას და მთელ მსოფლიოში შეეცდება საქართველოზე შექმნას უარყოფითი იმიჯი. ამისი ნათელი დადასტურება გახლავთ მაგალითად გაეროში რუსეთის წარმომადგენლის განცხადებები 2006 წლის ივლისში ზემო აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც გაეროს ტრიბუნიდან რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ საქართველოს აქვს განზრახვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი გადაჭრას სამხედრო გზით. ან ასევე საყურადღებოა რუსეთის დელეგატების განცხადებები ევროპის საბჭოში, საქართველოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისა და 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარების შესახებ;

ეკონომიკური ხასიათის საფრთხეები: რუსეთი შეეცდება კიდევ უფრო გაზარდოს ფასები რუსულ ბუნებრივ აირზე და აიძულოს საქართველო შეისყიდოს აირი რუსეთისაგან ბევრად უფრო მაღალ ფასში;

უარი განაცხადოს საქართველოს რუსეთისადმი სახელმწიფო დავალიანების (რომელიც დაახლოებით 140 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს) რესტრუქტურიზაციაზე და შესაბამისად მოსთხოვოს საქართველოს სახელმწიფო ვალის გადახდა უმოკლეს დროში, რაც ნეგატიურად აისახება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტზე;

მოსკოვი ეცდება მომავალშიც აღარ დაუშვას ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რუსულ ბაზარზე ექსპორტი, და ასევე აწიოს საბაჟო ტარიფები საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე ექსპორტირებულ სხვა საქონელზე, მაგალითად ფეროშენადნობებზე და სხვა ტიპის პროდუქციაზე, რომლის ექსპორტი რუსეთში ჯერ კიდევ ხორციელდება, და ამ გზით ხელი შეუშალოს ქართული პროდუქციის გასაღებას რუსეთის ბაზარზე და შესაბამისად დარტყმა მიაყენოს საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე მომუშავე ქართულ კომპანიებს.

ხასიათის საფრთხეები: რუსეთი ძალღონეს არ დაიშურებს, დიდი ხნის განმავლობაში გაჭიმოს კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედი ე.წ. „სამშვიდობო ძალების" გაყვანის პროცესი;

რუსეთი შეეცდება სხვადასხვა სახის დივერსიული აქტების მოწყობას როგორც ენერგოობიექტებზე, ასევე როგორც ბაქო-სუფსასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მოქმედ ნავთობსადენებზე, ასევე ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენზე. დივერსიული აქტების მოწყობამ სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკულ ობიექტებზე შესაძლებელია გამოიწვიოს ენერგეტიკულ კრიზისი ქვეყანაში, ხოლო არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე ქვეყანა შეიძლება მოიცვას გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა;

ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი შეეცდება გააღვივოს სეპარატიზმი არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის

ავტონომიური ოლქი, ჯავახეთი). მაგალითად რუსეთის მხრიდან შესაძლებელია აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების კვლავ წაქეზება, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს დამსჯელი ოპერაციები გალის რაიონში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა საქართველო აიძულოს 1998 წლის მაისის მოვლენების მსგავსად კვლავ ჩაერთოს საომარ მოქმედებებში;

რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის განხორციელების საკითხში რუსეთი ეცდება მისი სატელიტის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სომხეთის გამოყენებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ქმედებების განხორციელება ოფიციალური ერევნისაგან თითქმის გამორიცხულია, მაგრამ არ არის გამორიცხული მაგალითად სომხური რადიკალური მოძრაობის "დაშნაკტუცუნის" სამხედრო ფორმირებების მხრიდან ტერორისტული აქტების განხორციელება საქართველოში განლაგებულ სხვადასხვა ობიექტებზე, ასევე შესაძლებელია შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება ჯავახეთში, რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს მაჰმადიანი მესხების შესაძლო ჩამოსახლება ამ რეგიონში;[12] რუსეთი შეეცდება წითელუბნის ინციდენტის ანალოგიურად კვლავ დაარღვიოს საქართველოს საჰაერო სივრცე ჩვენი ქვეყნის პროვოკაციაში ჩათრევის მიზნით.

2.3 გლობალური მოთამაშეების ინტერესები საქართველოსადმი

საქართველო 1991 წლიდან გეოპოლიტიკური ტრანზიციის პერიოდში იმყოფება, სადაც ჯერაც არ გამოკვეთილა კონკრეტული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. თუმცა საქართველოს ოფიციალური ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანას გზა არჩეული აქვს დასავლეთის მიმართულებით. ორი გეოპოლიტიკური ცენტრის - აშშ-ს და რუსეთს შორის მოქცეული საქართველო ცდილობს, გამონახოს საკუთარი

[12] ნატო- ცრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თავი: საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა. ავტორი: ნიკა ჩიტაძე.

გეოპოლიტიკური ნიშა. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის თავდაცვის პერიმეტრის გავრცელება საქართველოს ჩამოყალიბებას ბუფერად ერთგვარად ხელს უშლის. თუმცა დღეისათვის საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი არა რუსეთსა და დასავლეთს შორის ბუფერად ყოფნაა, არამედ როგორც კი ზემოთ ავღნიშნეთ, ამ უკანასკნელის გავლენის სფეროში შესვლა.

ახლო მომავალში საქართველოს, როგორც ორი მეტოქე ძალის პოლუსს შორის მოქცეულ სუსტ სახელმწიფოს, თეორიულად საერთაშორისო სისტემაში ხუთი სხვადასხვა გეოპოლიტიკური როლის შესრულება შეუძლია.

-ბუფერის როლი - იმ შემთხვევაში თუ რესეთის ფედერაციის ჯარი საქართველოს დატოვებს და არც თურქეთის და არც აშშ-ს შეიარაღებული ძალები საქართველ ტერიტორიაზე არ განლაგდება.

-ფეთქებადი ზონის როლი - იმ სემთხვევაში ტუ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები სენარჩუნდება და ამავდროულად თურქეთის ან აშშ-ს საჯარისო ნაწილები განლაგდება.

-აშშ თურქეთის ჯვაზიბუფერის როლი - იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები საქართველოში დაიხურება და საქართველოს ტერიტორიაზე თურქული ან ამერიკული ბაზები გაიხსნება.

რუსეთის კვაზბუფერის როლი - იმ შემთხვევაში თუ რუსეთის ფედერაციის ჯარები საქართველოში ,,ექსკლუზიური უფლებით“ დარჩება“

-ფეთქებადსაშიში ზონის როლი - იმ შემთხვევაშიი თუ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები შენარჩუნდება და ამავდროულად თურქეთის ან აშშ-ს საჯარისო ნაწილები განლაგდება.

-ეკონომიკური და პოლიტიკური ხიდის როლი - იმ შემთხვევაში თუ რუსეთს, აშშ-სა და თურქეთი შორის აქამდე არსებული კონფლიქტი ჭეშმარიტად თანამშრომლობით და მეგობრობით შეიცვლება.[13]

ეს უკანასკნელი სცენარი ალბათ ყველაზე სასურველია საქართველოსთვის. რა თქმა უნდა ბუფერულ სახელმწიფოდ ყოფნა მიმზიდველი არ არის მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების შუაგულში მოხვედრილი სუსტი სახელმწიფოებისათვის ეს გეოპოლიტიკური როლი ყველაზე ცუდ ალტერნატივას არ წარმოადგენს, თუ რა თქმა უნდა საქართველო არ გახდა ევროატლანტიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი. რომელიც ასე ოფიციალურად არის დეკლარირებული.

საქართველოს აქვს დიდი სურვილი თავისი სიყვა თქვას საერთაშორისო თანამეგობრობაში და დაოკაოს სტაბილური ადგილი სხვა აქტორებთან ერთად.

[13] „საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ 1991-2004წწ. თავი მეათე.

თავი 3. ნატო-საქართველოს გეოსტრატეგიული ასპექტები და ნატოს გაფართოების სტრატეგია.

საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ალიანსთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე, შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერების ყველა შესაძლო ფორმატში, ნატო–სთან აქტიურად მონაწილეობის კონკრეტული სამოქმედო გეგმები ჩამოყალიბდეს. რაც მოიცავს მოქმედებათა სრულ სპექტრს, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო, ისე ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ თავდაცვითი საშუალებების განვითარების მიმართულებით. წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ნატო დაინტერესებულია საქართველოსთან ითანამშრომლოს შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სადაზვერვო და ანალიტიკური ინფორმაციის გაცვლის სფეროში. ასევე შესაძლებელია ურთიერთობების გაღრმავება ერთობლივი წვრთნების, ვარჯიშებისა და ოპერაციების უზრუნველყოფის მიმართულებით. შესაძლებელია სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის განვითარება, ჰიბრიდულ და ასიმეტრიულ საფრთხეებთან გამკლავების მიმართულებით.

შავი ზღვის რეგიონში ნატოს შემდგომი გაფართოება არის ერთადერთი ადეკვატური პასუხი არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების სრულფასოვნად შესაკავებლად. შესაბამისად, საქართველოსთვის აუცილებელია გაწევრიანების პროცესის დადებითი დინამიკის შენარჩუნება და ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

შავი ზღვის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს წევრი როგორც ევროპელი მოკავშირეების, ასევე შეერთებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგომატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორც ბარიერი სხვადასხვა საშიშროებებისა და გამოწვევების წინააღმდეგ.

3.1 ნატოს ახალი ინტეგრაციის ინსტრუმენტები ე.წ ,,ხუთი კიბის პრინციპი

21-ე საუკუნეში სახელმწიფოს უსაფრთხოების ცნება უკვე აღარ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე ცალკეული ქვეყნის საზღვრებით. თანამედროვე პერიოდში სახელმწიფოს უსაფრთხოება დამოკიდებულია რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებზე.

თუკი საფუძვლიანად გავეცნობით მსოფლიო ისტორიას, შეიქმნება ნათელი სურათი იმისა, რომ ნატო, როგორც ალიანსი და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, სრულიად უპრეცენდენტო მოვლენას წარმოადგენს. დაარსებიდან დღემდე ნატომ რეალურად მოახერხა თავისი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რაც ნატოს მთავარი მიზანი გახლავთ.

ნატოს მთავარი დასაყრდენია ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც რეალურ სამხედრო და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავიდანვე გაიგივებული იყო აშშ-ს სამხედრო პოტენციალთან თავისი ბირთვული არსენალით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი აგრესორის დამარცხება. ნატოს წევრების გაერთაიანების ძირითად მიზეზს წარმომადგენდა საერთო მტრის არსებობა, რომელიც საშიშროებას უქმნიდა მაშინდელ მსოფლიოს. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ და მისი პოლიტიკური გავლენის გაფართოებამ აღმოსავლეთ ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს შეუქმნა კომუნიზმის გავრცელების საფრთხე. ნატოს შექმნას საფუძვლად დაედო აშშ-ს პრეზიდენტის ჰარი ტრუმანის დროს მიღებული ე.წ. შეკავების დოქტრინა, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აშშ მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში ანტისაბჭოთა ძალების მხარდაჭერის გზით წინ უნდა აღდგომოდა მოსალოდნელ კომუნისტურ ექსპანსიას.

საქმიანობის პირველივე წლებიდან ალიანსი ახორციელებს „ღია კარის“ პოლიტიკას, კერძოდ ალიანსის დამფუძნებელმა ქვეყნებმა: ბელგიამ, კანადამ, დანიამ, საფრანგეთმა, ისლანდიამ, იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, პორტუგალიამ, გაერთიანებულმა სამეფომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება ალიანსის რიგებს შემატებოდა საბერძნეთი და თურქეთი (1952 წ.), მოგვიანებით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაწილი (1955 წ. დანარჩენი ნაწილი 90-იან წლებში გახდა ნატოს წევრი), ესპანეთი ნატოს წევრი გახდა 1982 წელს.

ნატოს გაფართიების მომდევნო რაუნდი „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შედგა, როდესაც ცენტრალური ევროპის რამდენიმე ქვეყანამ გადაწყვიტა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მათი მომავალი ინტერესების რეალიზებისათვის საუკეთესო გზა იქნებოდა ნატოს წევრობა. მათ გამოხატეს თავისი პოზიცია ალიანსის წევრობის სურვილთან დაკავშირებით. სამი ყოფილი პარტნიორი ქვეყანა- ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი - გახდნენ ნატოს წევრები 1999 წლის მარტში, რის შემდეგაც ალიანსის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 19-მდე. 2004 წლის მარტის ბოლოს კიდევ შვიდი სახელმწიფო - ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია შევიდნენ ალიანსში, რაც ნატოს გაფართოების ყველაზე დიდი ტალღა იყო.[14]

2009 წლის აპრილში ალბანეთი და ხორვატია გახდნენ ალიანსის წევრები, 2017 წელს კი მათ რიცხვს მონტენეგროც შეემატა. „ღია კარის“ აღნიშნული პოლიტიკა მიმართულია სტაბილურობისა და თანადგომისაკენ და ამავე დროს მიმდინარეობს

[14] *რა არის ნატო? ტრანსატლანტიკური ალიანსის შესახებ.* ბრიუსელი: სახალხო დიპლომატიის განყოფილება .

გაერთიანეული ევროპის - როგორც მშვიდობისა და დემოკრატიის გარანტის მშენებლობა, რომელიც თავის მხრივ დემოკრატიულ პრინციპებზეა დაფუძნებული.[15]

„ცივი ომის“ მთელი პერიოდის განმავლობაში ნატოს მიმართ საბჭოთა კავშირის მხრიდან უძლიერესი პროპაგანდა იყო ამოქმედებული. დღევანდელ პერიოდში ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი, გაღიზიანებულია იმით, რომ ნატო „ცივ ომში“ გამოვიდა როგორც გამარჯვებული ალიანსი. ისინი იხსენებენ რა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის კონფრონტაციის პერიოდს, ამტკიცებენ, რომ ამერიკა არანაკლები აგრესორი და ოკუპანტი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირი, რადგან თუ ამ უკანასკნელს გავლენა აღმოსავლეთ ევროპაში ჰქონოდა აშშ-ს სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ობიექტები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყო განთავსებული.

ალიანსის გაფართოების პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ პერიოდში, როდესაც ცივილიზებული სამყარო დადგა სრულიად ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე. 2001 წლის 12 სექტემბერს, აშშ-ს წინააღმდეგ განხორციელებულლი ტერატქიდან რამდენიმე საათში, ნატომ თავისი ისტორიის განმავლობაში პირველად მიმართა მე-5 მუხლს და განაცხადა, რომ თავდასხმა აშშ-ზე, როგორც ალიანსის წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთელი ალიანსის წინააღმდეგ.

ნატო გაფართოების შემდეგაც აგრძელებს „ღია კარის“ პოლიტიკის გატარებას. ამ მიზნით ნატოს ფარგლებში საფუძვლიანი კვლევა იქნა ჩატარებული გაწევრიანების თაობაზე. ამ დოკუმენტზე დაყრდნობითა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციიდან მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალიანსმა ე.წ. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan-MAP) ჩამოაყალიბა, რომლის წარმატებით განხორციელების შემდეგ ქვეყანა რეალურ ბერკეტებს ფლობს

გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. აღნიშნული გეგმა წარმატებით განახორციელეს ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა და სხვა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა და ამჟამად მას მაკედონია და ბოსნია-ჰერცოგოვინა ახლორციელებს. ის ფაქტი, რომ ნატოში გასაწევრიანებლად ალიანსის სტანდარტების დაკმაყოფილება არ გახლავთ ერთი და ორი წლის ამოცანა, მოწმობს, რომ ნატო მეტად წარმატებული ალიანსია.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ალიანსმა თავისი საქმიანობის გააქტიურება ევრო-ატლანტიკური სივრცის ფარგლებს გარეთაც, დღევანდელ აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ფართო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაიწყო.

ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობებმა ნათლად წარმოაჩინეს, რომ ალიანსის გაფართოება არ წარმოადგენს თვითმიზანს, გაფართოების ძირითადი მიზანია გახადოს ევროპა კიდევ უფრო სტაბილური. თვით წევრობის პერსპექტივა არის სტიმული იმისათვის, რომ მსურველი ქვეყნების მოტივაცია გაიზარდოს მეზობლებთან დავების მოგვარებისა და დემოკრატიზაციის, რეფორმების განვითარების მიმართულებით. ახალი წევრები არა მხოლოდ უნდა სარგებლობდნენ წევრობის პრივილეგიებით, არამედ უნდა იყვნენ უსაფრთხოების მომხმარებლები.

უსაფრთხოების ახალი გარემო ალიანსისაგან მოითხოვს: ტრანსფორმაციასა და ბალანსის ძიებას მის ტრადიციულ მისიებსა და ახალ გლობალურ საფრთხეებს შორის; ახალ საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით არსებული თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებას; ადაპტაციას, რათა გამოეხმაუროს ალიანსის წევრთა და პარტნიორი ქვეყნების მოთხოვნილებას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარების მიზნით, წარმატებული საქმიანობა განახორციელოს როგორც ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქედან გამომდინარე, დღეს ნატოს შეიძლება ეწოდოს რეგიონული ორგანიზაცია გლობალური პასუხისმგებლობით.

1994 წელს ნატოს ბრიუსელის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირის კარი ალიანსის წესდების მე-10 მუხლის შესაბამისად ღიაა სხვა ევროპული სახემწიფოებისათვის, კერძოდ კი იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ განავითარონ ვაშინგტონის ხელშეკრულების მთავარი პრინციპები და შეიტანონ წვლილი ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ნატო თავისი უსაფრთხოების პრიორიტეტებს განიხილავს, როგორც ფართო კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე თავდაცვით და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს. თითოეულ ორგანიზაციას თავისი ფუნქცია და როლი ეკისრება საერთო უსაფრთხოების კონცეფციის იმპლემენტაციის საქმეში. ამ პროცესში, რომელიც საკმაოდ შორსაა წასული, ალიანსი როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტი ერთ-ერთ არსებით როლს ასრულებს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.

გაფართოებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, მთლიანად ნატოს მიეკუთვნება და ეს იქნება თანმიმდევრული, კარგად გააზრებული და გამჭირვალე პროცესი და ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგზე დაფუძნებული. გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად. გაწევრიანების მსურველმა ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება წევრობა სხვა ქვეყანაზე ადრე მიიღოს, მაგალითად 1999 წელი, როდესაც ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ალიანსში, მხოლოდ 3 სახელმწიფო - ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი და პოლონეთი მიეღო, ხოლო დანარჩენი მსურველი ქვეყნები მოგვიანებით 2004-ში შეუერთდნენ.

გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა წარიმართოს ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად. თითოეული ქვეყნის მოწვევა უნდა გადაწყდეს მისი საკუთარი დამსახურების მიხედვით.

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ ვაშინგტონის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება. „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის" (MAP) დამტკიცება, რომელშიც ჩამოყალიბებულია რეკომენდაციათა ნუსხა გაწევრიანების მსურველთათვის.

1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები
2. თავდაცვისა და სამხედრო საკითხები
3. რესურსები
4. უსაფრთხოების საკითხები
5. სამართლებრივი საკითხი[16]

გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია ნატოსთან კონსულტაციების გამართვა, ასევე არსებობს მოთხოვნა პარტნიორი ქვეყნებისადმი გეგმის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების კუთხითაც. სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნატო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას მონიტორინგი აწარმოოს და ყოველწლიურად შეაჯამოს ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებში მათ მიერ ეროვნული პროგრამების შესრულების დონე და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე პარტნიორ ქვეყანასთან კონსულტაციების გამართვის გზით დასახოს მოქმედების შემდგომი ნაბიჯები, რომელთა განხორციელება გაწევრიანების მსურველი ქვეყნის პრეროგატივას წარმოადგენს.

კანდიდატ ქვეყანას მოეთხოვება საერთაშორისო ხასიათის დავების მშვიდობიანი მეთოდებით მოგავრება, ასევე: - შიდა ეთნიკური და სამართლებრივი პრობლემების, ტერიტორიული და სხვა სახის უთანხმოებების მოგვარება მეზობელ ქვეყნებთან; - კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპების

[16] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში.

პატივისცემა; - შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის დაწესება; - ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება; - საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში წვლილის შეტანა შესაბამის მისიებში აქტიური მონაწილეობა; - ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში აქტიური მონაწილეობა; - სტაბილურობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და გარემოს დაცვაზე პასუხისმგებლობის პრინციპების პატივისცემითა და რეალიზაციით.

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ნატოს პროგრამას, რომელიც მოიცავს კონსულტაციებს, დახმარებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის ერთობლიობას იმ ქვეყნების ინდივიდულაური მოთხოვნებისა და საჭიროებების შესაბამისად, რომელთაც სურთ ალიანსის წევრობა. ცალკეულმა ქვეყნებმა, რომლებიც ისწრაფვიან ალიანსის წევრობისათვის, უნდა დააკმაყოფილონ შესაბამისი ძირითადი მოთხოვნები, მათ შორის საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება, ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში სამართლიანი პოლიტიკის გატარება, სურვილი, გადაწყვიტონ ყოველგვარი დავა თავიანთ მეზობლებთან მშვიდობიანი გზით, შესაძლებლობა და მზადყოფნა, შეიტანონ წვლილი სამხედრო ალიანსში, ასევე შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ერთგულება. MAP-ში მონაწილეობა არ იძლევა მომავალი წევრობის არავითარ გარანტიებს, მაგრამ ეხმარება ქვეყნებს საკუთარი შეიარაღებული ძალების ადაპტაციაში და ამზადებს საკუთარ თავზე იმ პასუხისმგებლობისა და მოვალეობების ასაღებად, რაც ალიანსის წევრობამ უნდა მოიტანოს.

1999 წლიდან, როდესაც ამ პროგრამის განხორციელება დაიწყო, ათი ქვეყანა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ჩართვისა და მონაწილეობის მეშვეობით ალიანსის სრულუფლებიანი წევრი გახდა. პროგრამის ამჟამინდელ მონაწილეებს წარმოადგენენ ბოსნია-ჰერცოგოვინა და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია. ეს

უკანასკნელი დაწრმუნებული იყო, რომ მისთვის ნატოს წევრობის შეთავაზება მოხდებოდა მას შემდეგ, რაც საბერძნეთთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ოფიციალურ სახელთან დაკავშირებული პრობლემა გადაწყდებოდა.

2010 წლის აპრილში მოკავშირეებმა ოფიციალურად მიიწვიეს ბოსნია-ჰერცოგოვინა რათა შეერთებოდა MAP-ს, იმ პირობით, რომ ქვეყანა მიიღებდა პირველ ყოველწლიურ ეროვნულ პროგრამას, რათა სხვა საკითხებთან ერთად გარკვეული პოზიტიური ძვრები მომხდარიყო თავდაცვის სფეროში უძრავი ქონების საკითხის დადებითად გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველო და უკრაინა, ალიანსში გაწევრიანების პრეტენდენტი ქვეყანები გახლავთ, ისინი არ მონაწილეობენ MAP-ში, მაგრამ ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში ის მუშაობს გაწევრიანების მისწრაფების რეალიზაციისათვის. ალიანსის ლიდერები 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე შეთანხმდნენ, რომ ეს ქვეყანა გახდება მათი წევრი მომავალში.[17]

ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია „ვეტოს“ უფლება, რომელიც მხოლოდ ალიანსის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ, შესაბამისად ნატოს ფარგლებში თითოეული გადაწყვეტილების მიღება ალიანსის ყველა წევრის თანხმობას საჭიროებს.

ნატოში გაწევრიანების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი ეტაპია, განსაკუთრებით ყოფიფი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებისათვის. გაწევრიანებით ქვეყანა იღებს არა მარტო პრივილეგიებს უშიშროებისა და კოლექტიური თავდაცვის საკითხებში, არამედ უამრავ პასუხისმგებლობასაც.

ნატოში ახლადგაწევრიანებული სახელმწიფოები ისარგებლებენ სრულუფლებიანი წევრის ყველა უფლებით, ამავე დროს მათ დაეკისრებათ ვალდებულებები თავის თავზე აიღონ ყველა მოვალეობები, რომელსაც ვაშინგტონის ხელშეკრულება

[17] *რა არის ნატო? ტრანსატლანტიკური ალიანსის შესახებ.* ბრიუსელი: სახალხო დიპლომატიის განყოფილება .

ითვალისწინებს. გაწევრიანების მსურველმა ქვეყნებმა ვაშინგტონის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები უნდა გაითვალისწინონ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე.

ახალი სახელმწიფოების ნატოში გაწევრიანების პერიოდში ყველა წევრის მიერ უკვე მიღებული პრინციპების, პოლიტიკისა და პროცედურების მიღების ჩათვლით, ამ ძირითადი ვალდებულებების არა მხოლოდ დოკუმენტალურად, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა, შესრულების ნება და შესაძლებლობა გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება ცალკეული ასპირანტი სახელმწიფოს მისაერთებლად მიწვევისათვის ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წევრებისათვის მოწვევის პროცესში და ალიანსთან მიერთების საკითხში არ არსებობს რაიმე მყარი ან შეუვალი კრიტერიუმების ჩამონათვალი, თუმცა ამის მიუხედავად პოტენციურმა ახალმა წევრებმა თავიანთი მზადყოფნა უნდა გამოხატონ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნატოს წესებაში ჩამოყალიბებული პრინციპების გათვალისწინება - დემოკრატია, პირადი თავისუფლება და კანონის უზენაესობა.
- გაწევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა იყვნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროექტის დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგულნი.
- ვალდებულება აიღონ ნატოს ფარგლებში წარმოებული კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სრულად მონაწილეობის შესახებ.
- ჩამოაყალიბონ მუდმივი წარმომადგენლობა ნატოს შტაბ-ბინასთან.
- გამოყონ შესაბამისი ფინანსური რესურსები ალიანსის ბიუჯეტში წვლილივს შეტანის მიზნით, რაც დამყარებულია შეთანხმებულ საბიუჯეტო წილებზე.

- მიიღონ შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საფუძველს ალიანსის არსებული პოლიტიკისათვის და სხვა.

3.2 ნატოს გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ.

როდესაც ნატო საქართველოს ურთიერთობებზე ვსაუბრობთ ბუნებრივია ჩნდება კითხვა რა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანს საქართველოს მიმართ.

ნატოს ინტერესები მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს. იგი თავის საგარეო პოლიტიკას რეგიონალური მასშტაბით ანხორციელებს მაგრამ ეს ურთიერთობა ყალიბდება არა პარტნიორულ დონეზე არამედ რეგიონალურ დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ დღევნდელ ეტაპზე შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფოებთან ურთიერთობებში იკვეთება უფრო კონკრეტული მიმართულებები: განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოსთან და უკრაინასთან. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს დასავლეთის ქვეყნებთან და დასავლურ სტრუქტურებთან ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს. განსაკუთრებით გაძლიერებული ძალისხმევა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციას უკავშირდება. ასევე ალიანსის ინტერეს წარმოადგენს დემოკრატიული გარდაქმნები ამ ქვეყანაში, თუმცა ამავე დროს აღსაღნიშნავია რომ როცა ჩვენ ვსაუბრობთ ნატოს რეგიონალურ პოლიტიკაზე ხაზი უნდა გავუსვათ ნატოსთან თანამშრომლობის გზაზე თითოეული რეგიონის სპეციფიკურობას. კერძოდ როგორც ავღნიშნეთ ნატოს თავისი ინტერესები გააჩნია მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, მაგრამ ამავე დროს ამ სამი ქვეყნიდან მხოლოდ საქართველო მიისწრაფვის ნატოში გაწევრიანებას. ამიტომაც კავკასიის შემთხვევაში ნატოს

მოსალოდნელი გაფართოება მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში განიხილება.[18]

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალიანსის დაინტერესებისა სახრეთ კავკასიის მიმართ არის კასპიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული პროექტები. პროექტები რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს გავლით ტრანსპორტირებასთან. ენერგომატარებელთა წყაროების დივერსიფიცირების საკითხმა განსაკუთრებით აქტუალურობა შეიძინა ევროპისათვის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. აუცილებელია ავღნიშნოთ ის ენერგო კრიზისი, რომელსაც ადგილი ქონდა 2006 წლის დასაწყისში და 2009 წლის იანვარში, რომელიც განპირობებული იყო რუსული ბუნებრივი აირის უკრაინის ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შეფერხებით. ვითარებას ართულებს არასტაბილური მდგომარეობა ნავთობრესურსებით უმდიდრეს რეგიონებში სპარსეთის ყურეში და ირანში, რაც კიდევ უფრო ზრდის ალტენატიულ წყაროთა მნიშნელობას.

ამრიგად, კავკასიაში და კასპიის რეგიონში არსებული ენერგორესურსები და მათი სტაბილური მიწოდება ევროპაში, უკვე ნატოსა და ევროკავშრის სახელმწიფოების პრიორიტეტული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. ასევე უნდა აღინიშნოს ევრაზიული დერეფნის პროექტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია

[18] ,,ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ“ ავტორი: ზურაბ აბაშიძე.

საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირება და მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. ასეთ პროექტად შეიძლება იქცეს ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა.

ნატოს, როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო სტრატეგიული ინტერესები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათალისწინებული სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პრინციპი ეფუძნება „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას და ამ მიმართულებით სამხრეთ კავკასია ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს.

დღევანდელ ეტაპზე იმ პირობებში როდესაც ავღანეთში, სპარსეთის ყურეში და ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ალიანსის მიერ აღიქმება საფრთხის მთავარ წყაროდ. ნატო იძულებულია განახორციელოს და გააქტიუროს თავისი პოლიტიკა ამ რეგიონებში და ამ მიმართულებით საქართველოს სტრატეგიული მნიშნელობა ალიანსისათვის კიდე უფრო იზრდება. კიდევ ერთ მნიშნელოვან ასპექტად, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს ალიანსის ინტერესები საქართველოს მიმართ, შესაძლოა იქცეს ნატოს წევრი თურქეთის ფაქტორი, რადგან სულ უფრო იზრდება გარკვეული დაპირისპირება თურქეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომ ნატოს მიერ თურქეთის სახით ახლო აღმოსავლეთში პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაში შესაძლებელია გამოიწვიოს ალტერნატიული სტრატეგიული პარტნიორის არსებობა.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ალიანსი მთავარ საფრთხედ განიხილავს ტერორიზმს დასავლური წარმოდგენით მჭიდროდ უკავშრდება დიდ შუააღმოსავლეთს. ამ რეგიონთან სიახლოვის და სტრატეგიული მდებარეობის გამო

ალიანსი პრიორიტეტის ინტერესების სფეროდ აღიქვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონს და უფრო ზოგადად შავი ზღვის რეგიონს. ნატო კი ამ რეგიონის სახელმწიფოებთან დაახლოებას ახალ საფრთხეებთან დაპირისპირების აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

ნატოს ჩვენი ქვეყნის მიმართ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის ინტერესები:

- გეოეკონომიკური ინტერესები: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალიანსის დაინტერესებისა სამხრეთ კავკასიის მიმართ გახლავთ კასპიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული რესურსები, პროექტები რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებასთან. ენერგომატარებელთა წყაროების დივერსიფიცირების საკითხმა განსაკუთრებითი აქტუალობა შეიძინა ევროპისათვის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება.

- გეოპოლიტიკური ინტერესები: კავკასიაში ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შეიძლება დავუკავშიროთ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ „ჰართლენდისა და რიმლენდის" თეორიის ბაზაზე შემუშავებულ „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფციას, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ნატო ასრულებდა.

- გეოსტრატეგიული ინტერესები: ნატოს-როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ სამხედრო-სტრატეგიულ ფაქტორზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო დაგეგმარების

პრინციპი ეფუძნება „მოქნილი რეაგირების" სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას, და ამ მიმართულებით, ისეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის მქონე რეგიონი, როგორიცაა სამხრეთ კავკასია, ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს.[19]

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტად, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს ალიანსის ინტერესები საქართველოს მიმართ, შესაძლოა იქცეს ნატოს წევრი თურქეთის ფაქტორი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სულ უფრო იზრდება გარკვეული დაპირისპირება თურქეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომაც, ნატოს მიერ ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის სახით ახლო აღმოსავლეთში და შავი ზღვის რეგიონში პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ალტერნატიული სტრატეგიული პარტნიორის არსებობა.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს მომავალში მისი ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, კერძოდ:

გეოსტრატეგიული ფაქტორი: საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შესრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში. მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში.

---

[19] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში.

ცივილიზაციური" ფაქტორი: ნატოს წევრობა საქართველოსათვის შექმნის მყარ საფუძველს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულიად ინტეგრირებისათვის. ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა და ნატოს საქმიანობაში მონაწილეობა კიდევ უფრო განამტკიცებს „ევროპელის" სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და დასავლური ფასეულობების გაზიარებით ერთიან ევროპულ ოჯახში სრულ დამკვიდრებას, ეს კი პოზიტიურად აისახება ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების და შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

პოლიტიკური ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და სტიმულს მისცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს. მეორეს მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში.

სამხედრო ფაქტორი: უკანასკნელ წლებში საქართველოს თავდაცვის სექტორში ჩატარებული კარდინალური რეფორმების მიუხედავად, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, დღევანდელ ეტაპზე საქართველოს თავდაცვითი რესურსები მაინც არასაკმარისია ყველა იმ შიდა თუ გარე საფრთხესთან გასამკლავებლად, რომელსაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს და ასევე ყველა იმ გამოწვევების მისაღებად, რომელიც თანამედროვე ეპოქაში არსებობს მთელ მსოფლიოში.

ეკონომიკური ფაქტორი: ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველო დღეს საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკის განვითარება კი აუცილებლად საჭიროებს სტაბილურ გარემოს და მოითხოვს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ გარანტიებს, რის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ნატო იძლევა. სწორედ ამ ორგანიზაციის წყალობით

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული შეიქმნა დასავლეთ ევროპის ომისშემდგომი აღორძინებისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობები. ალიანსმა ძალღონე არ დაიშურა იმისათვის, რომ მისივე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მომხდარიყო ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი წევრების ეკონომიკური დაქვეითება.[20]

კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ერთი-ორად გაიზარდა პოსტსაბჭოთა პერიოდში და მისი აქტუალობა თანდათან იძენს დიდ მასშტაბებს.

საერთაშორისო პოლიტიკის მიმომხილველის ლუკ კოფის განცხადებით, არც ერთ სხვა ასპირანტ ქვეყანას არ აქვს იმდენი ინიციატივა ნატო-სთან, რამდენიც საქართველოს. ამის შესახებ მიმომხილველმა „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას განაცხადა. მისი განცხადებით, ნატო-ში გაწევრიანებას MAP-ი არ სჭირდება – საქართველოს MAP-ი არ სჭირდება.

ლუკ კოფის თქმით, უკვე რამდენიმე წელია, საქართველო აჩვენებს, რომ ის შეერთებული შტატებისთვის სანდო პარტნიორია.

„ის მონაწილეობს ავღანეთის მისიაში, მანამდე მონაწილეობდა ერაყის მისიაში, მას წვლილი შეაქვს ტრანს-ატლანტიკურ უსაფრთხოებაში. საქართველო ასრულებს ნატო-ს მოთხოვნას თავდაცვის სფეროს დაფინანსების შესახებ და საქართველო მდებარეობს გეო-სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში.

ბევრი ჩემი კოლეგის მსგავსად, ვინც ტრანს-ატლანტიკურ საკითხებზე მუშაობს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ვღელავდით იმ ზოგიერთი გაცხადების გამო, რომელიც პრეზიდენტმა რუსეთზე და ნატო-ზე გააკეთა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ სასიამოვნოდ გაოცებული დამტოვა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებმა. აქ

[20] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში.

გამოვყოფდი საქართველოსთვის „ჯაველინების“ მიყიდვის გადაწყვეტილებას, რასაც მე უკვე რამდენიმე წელია, ვემხრობი. ამ იდეას მხარდამჭერები ჰყავდა კონგრესში, როგორც რესპუბლიკელების, ასევე დემოკრატების მხრიდან“ – განაცხადა ლუკ კოფიმ.[21]

მისივე თქმით, ქართველებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სწორ გზაზე არიან.

მოლოდინების მართვა. არც ერთ სხვა ასპირანტ ქვეყანას არ აქვს იმდენი ინიციატივა ნატო-სთან, რამდენიც საქართველოს. ქართველებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სწორ გზაზე არიან. ვფიქრობ, ქართველებმა მოთმინება უნდა გამოიჩინონ და ნატო-ს წევრობისთვის რამდენიმე წელიწადი მოთმენა ღირს. ამის პარალელურად,

შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა უნდა გააგრძელონ საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად მხარდაჭერა“, – აღნიშნა კოფიმ და დასძინა, რომ საქართველო ნატო-სთან ყველაზე ახლოსაა.

მისივე განცხადებით, სანამ MAP-ის საკითხი არსებობს, რუსეთს შეუძლია, ის პროპაგანდისთვის გამოიყენოს.

„ჩემი აზრით, არ იყო ჯანსაღი წევრობის სამოქმედო გეგმასთან – MAP-თან დაკავშირებული მოლოდინები. ახლა ნატო-ს ყოველი სამიტის წინ ქართველებს

[21] ლუკ კოფი - ნატო-ში გასაწევრიანებლად საქართველოს MAP-ი არ სჭირდება. 06.02.2018

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2F1tv.ge%2Fnews%2Fluk-kofi-nato-shi-gawevrianebas-map-ar-schirdeba-saqartvelos-map-ar-schirdeba%2F&h=AT3FRCgtgyMpFWrMvjOJHWTKVWTc04uLP_GuEjmvyEaLB7320Gd_A2SuRiEqjWoevhcRd4IqIyDPJvl9cdzaooYLB_BYrzjZ-FmUs2_KYAxtz35WqBAhVm1hAVSR1yHTq4PSSg

MAP-ის მოლოდინი აქვთ. ბევრი ქვეყანა ნატო-ს MAP-ის გარეშე შეუერთდა. სანამ MAP-ის საკითხი არსებობს, რუსეთს შეუძლია ის პროპაგანდისთვის გამოიყენოს.[22]

ბრიუსელის სამიტზე საქართველო MAP-ს ვერ მიიღებს, იმიტომ რომ ალიანსის ზოგიერთი წევრი თავს კომფორტულად არ გრძნობს. თუ იქნება MAP-ის მიღების მოლოდინი, რაც ბრიუსელში არ მოხდება, მერე ამას რუსეთი პროპაგანდისთვის გამოიყენებს. ნატო-ში გაწევრიანებას MAP-ი არ ჭირდება. თქვენ MAP-ი არ გჭირდებათ", – აღნიშნა მიმომხილველმა.

მან ასევე ისაუბრა იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდეს საქართველო ბრიუსელის სამიტისგან.

„ჩვენ არ ვიცით, ზუსტად რას ველოდოთ. ვისურვებდი, რუსეთის შესაჩერებლად ნატო გამოვიდეს აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო წარმომადგენლობის იდეით, ვისურვებდი გაფართოების პოლიტიკის გაგრძელებას და მაკედონიის მიღებას, ასევე ვისურვებდი საქართველოსთვის ცალკე კომუნიკეს მიძღვნას, რომელიც აღნიშნავდა

რომ ბუქარესტის სამიტიდან 10 წლის შემდეგ ნატო კვლავ მხარს უჭერს საქართველოს ალიანსში გაწევრიანებას.

[22] ლუკ კოფი - ნატო-ში გასაწევრიანებლად საქართველოს MAP-ი არ სჭირდება. 06.02.2018

https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2F1tv.ge%2Fnews%2Fluk-kofi-nato-shi-gawevrianebas-map-ar-schirdeba-saqartvelos-map-ar-

კარგი იქნება, საგარეო საქმეთა მინისტრების ნაცვლად ნატო-საქართველოზე დისკუსიები სახელმწიფოების მეთაურების დონეზე გაიმართოს. კიდევ ერთი პრაქტიკული იდეა იქნებოდა, შავი ზღვის უსაფრთხოებაზე მომუშავე ნატოს ცენტრის გახსნა საქართველოში", – განაცხადა ლუკ კოფიმ.

3.3 ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიმართ

შავი ზღვის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს წევრი, როგორც ევროპული მოკავშირეების, ასევე შეერთვებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგო მატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორც ბარიერი სხვადასხვა საშიშროებისა და გამოწვევების წინააღმდეგ. უსაფრთხოების კონტროლი ამ რეგიონში შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების სხვადასხვა ინტერესებითაა გამოწვეული. ზოგიერთი ქვეყნის ინტერესები და პრიორიტეტები თანხვედრაშია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესებთან, მაშინ როცა, ზოგი სახელმწიფო ეწინააღმდეგება ნატოს გააქტიურებას რეგიონში.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის სამი ზღვისპირა სახელმწიფო ნატო-ს წევრია, რუსეთის მნიშვნელოვან სამხედრო უპირატესობას და რეგიონში მის აგრესიულ პოლიტიკას ნატო აღიქვამს, როგორც შემაშფოთებელ საფრთხეს შავი ზღვის რეგიონისათვის და გამოწვევას მთლიანად ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის. გარდა ამისა, შავი ზღვის რეგიონი წარმოადგენს ავანსცენას, სადაც ნატო-ს და რუსეთის სამხედრო ძალებს ყველაზე მჭიდროდ უწევთ ურთიერთქმედება, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენს. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის

ფაქტი, რომ რუსეთს შეღწევის საწინააღმდეგო და ტერიტორიული სისტემებით, ფაქტობრივად, სრულად აქვს დაფარული შავი ზღვის რეგიონი. ვითარების სიმწვავეს ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში აშშ-ის გამანადგურებელი ხომალდის და რუსული ბომბდამშენის ურთიერთქმედებით გამოწვეული ესკალაცია, რომლის დროსაც რუსეთის ავიაციამ ელექტრონული ომის საშუალებების გამოყენებით მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ამერიკულ ხომალდს.

ნატომ, როგორც წამყვანმა ორგანიზაციამ უსაფრთხოების სფეროში უნდა შეიმუშაოს გეგმა ამ რეგიონის მიმართ, რათა მიაღწიოს მიზანს შავი ზღვის რეგიონშში ხიდების გადებასა და წინააღმდეგობის მიმართ ბარიერის აღმართვაში. ამ გარემოებიდან გამომდინარე ევრო-ატლანტიკურმა სტრატეგიამ მხარი უნდა დაუჭიროს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მიერ წამოწყებულ ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება სტრაბილურობისა და ერთიანი ინტერესების თანხვედრისაკენ აქ შეიძლება ჩართული იქნას ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შავი ზღვის რეგიონის წევრებით, რათა განსაზღვული იქნას საერთო უსაფრთხოების ინტერესებით. შავი ზღვისრეგიონის ქვეყნებმა შეიძლება ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში

- ნატოს მხარდაჭერით პროგრამ „პარტნიორობა მშვიდობისათვის „ ამ პროგრამით ჩატარდეს ერთობლივი სამხედრო წვრთნები, როგორც შავ ზღვაზე ასევე როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანაპირო დაცვისა და სახმელეთო ჯარების ნაწილების მონაწილეობით
- მნიშვნელობანია ინფორმაციის ურთიერთ გაცვლა და კოორდინირებული მოქმედება საზღვრების კონტროლისა და სანაპირო დაცვის საკითხებში, ასევე , როგორიცაა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

- sამოქალაქო სამხედრო საკითხებში თანამშრომლობა შეიძლება განმტკიცებული იქნას გამოცდილების ურთიერთ გაზიარებით.
- ნატოს ასპირანტი სახელმწიფოების, საქართელსა და უკრაინისათვის აუცილებელია რუმინეტისა და ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება;
- ხელი უნდა შეეწყოს ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას ნატოს სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამების ფარგლებში. ამ მხრივ აღსაღნიშნავია ნატოს პროგრამა „მეცნიერება უსაფრთხოებისათვის“, სადაც გათვალისწინებულია ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება;[23]

სტრატეგია, რომელიც ნატომ უნდა გამოიყენოს შავი ზღვის რეგიონის მიმართ, ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გამოკვეთილი. ალიანსის გაფართოებამ ცენტრალური და ჩრდილოეთი ევროპის მიმართულებით ლიმიტს მიაღწია. განსხვავებული მდგომარეობაა შავი ზღვის რეგიონშისადაც ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს თავის პოტენციურ წევრებთან.

თუმცა საგულისხმოა, რომ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, ხშირად ინტერესთა თანხვედრის შემთხვევაშიც კი, არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისა და შემაკავებელი ტაქტიკის თაობაზე ერთმანეთისაგან განსხვავებული ხედვა აქვთ. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რატომაც ნატო სათანადოდ არ არის წარმოდგენილი შავ ზღვაზე, თურქეთის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკაა. რეგიონში

ნატო-ს როლის შესამცირებლად, თურქეთის ინიციატივით, 2001 წელს შეიქმნა მრავალეროვნული სამხედრო-საზღვაო ოპერატიული ჯგუფი „ბლეექსი ფორი“, რომელიც მოგვიანებით გაძლიერდა საზღვაო-სამეთვალყურეო ოპერაცია “შავი ზღვის

[23] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, თბილისი 2008.

ჰარმონიის" მეშვეობით. რამაც, გამოიწვია ის, რომ შავი ზღვა დღეისათვის არის ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის ყველაზე მოწყვლადი და ნაკლებად დაცული სეგმენტი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სირიის საზღვართან არსებული რთული ვითარების გამოთ თურქეთის უსაფრთხოება დიდწილად არის დამოკიდებული ნატო-ს მიერ განლაგებულ „პატრიოტის" საჰაერო თავდაცვის სისტემებზე. შესაბამისად, თურქეთს უწევს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით თანამშრომლობის საკითხში რუსეთთან და ნატო-სთან ბალანსის გამონახვა.

გერმანიის მარშალი ფონდის ხელმძღვანელი რონალდ ასმუსი, რომელიც ამავე დროს NATO-ს ღია კარის პოლიტიკის მხადამჭერია, მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა საფუძველი დაუდო ორგანიზაციის მეორე მნიშვნელოვან განახლებას. ასმუსის აზრით პოსტ-„ცივი ომის" ეპოქაში ალიანსის დღის წესრიგში დგას ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთან კავშირში მყოფი ამოცანები, რომელიც ორგანიზაციის მეორე განახლების ამოსავალ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს:

პირველი: ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს, და უფრო მეტიც, გააღრმავოს დემოკრატიის მხარდაჭერის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში. უფრო კონკრეტულად, აქ იგულისხმება „ვარდების" და „ნარინჯისფერი" რევოლუციების მონაპოვარის განმტკიცებისათვის შესაბამისი პოლიტიკის წარმოება. ორგანიზაციამ ერგვარი წინამძღოლობა უნდა გაუწიოს უკრაინას და საქართველოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. ამგვარი წინამძღოლობა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ გზას ევროპისა და აშშ-სთვის, ხელი შეუწყოს დემოკრატიულ პროცესებს რუსეთში.

მეორე ამოცანა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირველს შემდეგში მდგომარეობს: ხელი შეუწყოს სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში, რათა უზრუნველყოფილი იყოს, ერთის მხრივ ერთიანი, სტაბილური და მშვიდობიანი

ევროპის კონცეფციის რეალიზება. მეორეს მხრივ, სტაბილური სამხრეთ კავკასია გახდება მნიშვნელოვანი დასაყრდენი ორგანიზაციისათვის შუა აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების განხორციელებისას.

ნატოს მიერ გამოცხადებული ღია კარის პოლიტიკა, საშუალებას აძლევს ამ რეგიონის ქვეყნებს ორგანიზაციაში გაწევრიანდეს რის შედეგადაც შავი ზღვის რეგიონის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ზღუდე გახდება.

შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს სწრაფვა გახდეს ნატოს წევრი, ამ თვალსაზრისით ინტეგრაციის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წლის ნოემბერში რიგაში გამართული ნატოს სამიტზე მიღებული იქნა დეკლარაცია რომელშიც აღინიშნა, რომ განაგრძობენ საქართველოსთან ინტენსიურ დიალოგს და ხელს შეუწყობენ რეფორმების განხორციელებას

მიუხედავად ნატოს მხრიდან მხარდაჭერისა ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, მათ შორის აღსაღნიშნავია შემდეგი:

- ნატოს ფარგლებში ყველა სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად ალიანსის წევრი 26-ივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო ამავე დროს ცნობილია, რომ საფრანგეთი, გერმანია და იტალია ნატოს გაფართოებას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებენ;
- მიუხედავად ნატოს ოფიციალური პირების განცხადებისა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები ხელს ვერ შეუშლის საქართველოს სწრაფვას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე, ამ ფაქტორს შეუძლია ნეგატიური როლი ითამაშოს ალიანსში ინტეგრაციის გზაზე.
- დიდ პრობლემას წარმოადგენს რუსეთის ,,სამშვიდობო ძალების“ არსებობა კონფლიქტურ ზონაში

- ნატოს ევროპული მოკავშირეების რუსეთის ენერგეტიკულ პროექტებზე დამოკიდებულებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე
- დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით საქართველო ჯერ კიდევ სრულად არ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს.[24]

ზემოაღნიშნული პრობლემების დასაძლევად საქართველომ ინტენსიური მოლაპარაკებები უნდა გამართოს ევროპის წამყვან ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, რათა მიღებული იქნას ამ ქვეყნების მხარდაჭერა. აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია მიღწეული იქნას შეთანხმება რუსეთთან, რათა რუსეთის სამშვიდობო ძალები გავიდნენ საქართველოდან ან მოხდეს სხვა სტრუქტურებისა და ქვეყნების ჩართვა კონფლიქტის ოგვარების პროცესში. ამ მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთზე შესაძლო გავლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება რათა საქართველომ განაგრძოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელება, რათა მოიპოვოს ნატოს შემდგომი მხარდაჭერა.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც აფერხებს თანამშრომლობის განვითარებას შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს დაძაბული ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, დაძაბული ურთიერთობები ერთის მხრივ საქართველოსა და რუსეთს, ხოლო მეორე მხრივ თურქეთსა და სომხეთს, აგრეთვე რუსეთსა და მოლდოვას შორის. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტერიტორიული დავები უკრაინასა და რუმინეთს, აგრეთვე უკრაინასა და რუსეთს შორის.

[24] ჩიტაძე, ნ. (2008). *ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი.* თბილისი: ©NATO/OTAN 2005 საქართველო ნატოში, თბილისი 2008.

რაც შეეხება ეკონომიკური ხასიათის პრობლემებსა და გამოწვევებს, ისინი პირველ რიგში დაკავშირებულია რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის სუსტ სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასთან. მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, უახლოეს წარსულში განვითარებული პოზიტიური პროცესები იძლევა იმედს, რომ რეგიონში არსებული დაძაბულობანი ეტაპობრივად დადებითად გადაწყდეს. ამ მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნატოს გაფართოება და ალიანსის გაზრდილი როლი გლობალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში. ბალტიის სახელმწიფოებისა და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოების ალიანსში მიღების შემდეგ ნატოს შემდგომ სტრატეგიას წარმოადგენს უფრო ინტენსიური თანამშრომლობის განვითარება შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნატოს რიგის სამიტზე მიღებული ერთობლივი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ალიანსის მიერ საქართველოსა და უკრაინასთან ინტენსიური თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ნატოსთან თანამშროლობის გზაზე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ალიანსის გამოცდილების გაზიარება უსაფრთხოების სფეროში რეფორმების ჩატარების თვალსაზრისით, შეაირაღებული ძალების ნატოს სტანდარტებით უზრუნველყოფაში და ა.შ.

ნატოს გაფართოებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირის გაფართოება და რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში ჩართვა, რაც დადებით გავლენას მოახდენს რეფორმების განხორციელების პროცესზე ამ ქვეყნებში.

უდიდესი როლი რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში შეუძლიათ ითამაშონ ეკონომიკურმა პროექტებმა. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სეპარატიზმის დამარცხებაში,

რადგანაც სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ამ რეგიონების მოსახლეობა დაინტერესებული იქნება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული იმ განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომლისგან გამოყოფასაც ამ ეტაპზე ასე ესწრაფვიან სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები.

ეკონომიკური ასპექტებიდან რა თქმა უნდა პირველ რიგში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების შესახებ, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობა. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის-ტრასეკას პროექტი და „დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელინისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთან და მოგვიანებით რომის იმპერიასთან. ზემოაღნიშნული კავშირურთიერთობები ძირითადად ხორციელდება შავი ზღვის რეგიონის მეშვეობით.

ზემოაღნიშნული პროექტების, აგრეთვე შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროსკენ ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების შედეგად, რეგიონმა ახალი გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, იგი მოექცა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს მთავრობებისა და მათი ენერგეტიკული კომპანიების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში. აღნიშნულ რეგიონს თავისი არსებობის პერიოდში (შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფოების ჩამოყალიბების დროიდან) ყოველთვის გააჩნდა თავისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. საუკუნეების განმავლობაში იგი მრავალჯერ გამხდარა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების

თავდასხმის ობიექტი. ამ სახელმწიფოთა ლიდერებს მშვენივრად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე, სტრატეგიული ნავსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციების მქონე რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვა, იმის შესახებ თუ რა რა გეოპოლიტიკური ინტერესები აქვს ნატოს კავკასიის რეგიონში და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში.

ამ ნაშრომში არსებული საკითხებიდან, პასუხი გავეცით ჩვენს მიერ შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებს, პირველი საკვლევი კითხვა:

რა ფაქტორები უშლის ხელს საქართველ ნატოში გაწევრიანებას?

შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს სწრაფვა გახდეს ნატოს წევრი. მიუხედავად ნატოს მხრიდან მხარდაჭერისა ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, მათ შორის აღსაღნიშნავია შემდეგი: 1) საქართველოში არსებული კონფლიქტები ხელს უშლის სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ. კონფლიქტებში მოიაზრება პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა. სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი უნდობლობა, რომლის მაპროვოცირებელ გარემოს მედია ქმნის. მედიაში ხშირად შუქდება ისეთი ინფორმაციები, რომლებიც პირდაპირ მიმართულია პოლიტიკური პირების, პოლიტიკური და

ინტელექტუალური დონის დაქვეითებისაკენ. ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებმა აჩვენა რომ სასამართლო არის უმართავი და სამართლებრივი შტო მაღალი ალბათობით მოსყიდულია სახელისუფლებო პირების მიერ, რაც ქვეყანაში კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ნეპოტიზმი კვლავ მოუგვარებელია. 2) წევრობისათვის აუცილებელია ნატოს წევრი ქვეყნების თანხმობა - მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა წევრ ქვეყანასთან გვაკავშირებს კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულება ეს ვითარება მაინც ვერ შეცვლის თამაშის წესებს საერთაშორისო სისტემაში, რადგან ყველა ქვეყნის მთავარი მამოძრავებელი, ამოსავალი საკითხია საკუთარი ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება. ვფიქრობ რომ მოკავშირე ევროპული ქვეყნები, რომლები ჯერ კიდევ ენერგეტიკული თვალსაზრისით დამოკიდებულებაში არიან რუსეთის ფედერაციაზე, გარდამტეხ სიტყვას და აზრს ვერ დააფიქსირებენ საქართველოს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით რადგან ეს წინააღმდეგობაში მოდის სწორედ ზემოთ აღნიშნულ ქვეყანასთან. ამის ნათელი მაგალითი ჰქონდა ერთხელ საქართველოს, როდესაც 1918-1921 წლებში საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების საკითხს საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა მხარი არ დაუჭირა. სწორედ 1919 წლის სხდომაზე საფრანგეთმა ხაზი გაუსვა რუსეთის ფედერაციის ინტერესებს საქართველოსადმი და ამას მოჰყვა სწორედ ის რომ საქართველომ დაკარგა მაშინ დამოუკიდებლობა. 3) რუსეთის ,,სამშვიდობო ძალების“ არსებობა კონფლიქტურ ზონაში - ჯერაც დაუდგენელი ტერიტორიული საზღვრები და ოკუპირებული ტერიტორიები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი მიუთითებს იმას რომ საქართველო ამ ეტაპისთვის ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს. 4) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც აფერხებს თანამშრომლობის

განვითარებას შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს დაძაბული ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, დაძაბული ურთიერთობები ერთის მხრივ საქართველოსა და რუსეთს, ხოლო მეორე მხრივ თურქეთსა და სომხეთს, აგრეთვე რუსეთსა და მოლდოვას შორის

რამდენად შეუძლია საქართველოს ნატოს უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება?

საქართველო ძალზედ მნიშვნელოვანი ტერიტორიული მდებარეობა უკავია რეგიონში, როგორც ევროპული მოკავშირეების, ასევე შეერთვებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგო მატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. შექმინს უსაფრთხოების მაღალ სისტემას რომლის მიხედვითაც ხელს შეუშლის ევროპაში ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას და ტერორიზმის რისკებს შეამცირებს. დაამყარებს კონტროლს როგორც სახმელეთო ისე საზღვაო მიმართულებითაც, საზღვაო მიმართულებით საქართველოს ორი მნიშვნელოვანი პორტი აქვს ბათუმის და ფოთის, რომელიც მაღალი გამტარუნარიანობით და ეფექტურობიტ ხასიათდება.

შეუძლია თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანება MAP - ის გარეშე?

ნატოში არსებობს ქვეყნები რომლებიც MAP-ის გარეშე გაწევრიანდნენ ორგანიზაციაში, ამ თვალსაზრისით საქართველო პირველი არ იქნება.

ყოველ ნატოს სხომაზე საქართველო MAP -ის მოლოდინშია და რაც უფრო დრო გადის MAP -ით დაკისრებულ ვალდებულებებს არა თუ ვასრულებთ არამედ ვშორდებით უფრო მოთხოვნილ სტანდარტებს . ჩემი აზრით სანამ მაპის საკითხი არსებობს, რუსეთს შეუძლია ის პროპაგანდისთვის გამოიყენოს. ბრიუსელის სამიტზე საქართველო მაპს ვერ მიიღებს, იმიტომ რომ ალიანსის ზოგიერთი წევრი თავს კომფორტულად არ გრძნობს. როგორც ზემოთ ავღნიშნე წევრობისათვის აუცილებელია ყველა წევრი ქვეყნის ხმა. ხმათა გარკვეულ ნაწილს საქართველო ვერ მიიღებს რადგან ევროპის წამყვანი ქვეყნებიც კი რუსეთთან ენერგოდამოკიდებულებაშია.

თუ დავაკვირდებით მოვლენათა განვითარებას ცხადია, რომ რუსეთი ძალას არ იშურებს ყველა ნაბიჯზე შექმნას დაბრკოლება, რათა საქართველო ვერ გაწევრიანდეს ნატოში. აგვისტოს ომის მიზეზიცის ის იყო რომ მას სურდა განეთავსებინა სამხედრო ბაზები საქართველოს ტერიტორიებზე. აქ ტერიტორიულ დაინტერესებას არ აქვს ადგილი, არამედ იმას რომ შექმნა მისთვის საჭირო პირობები რომ შეაფერხა ენერგეტიკულ პროექტებზე მუშაობა და საქართველოს გაწევრიანება ნატოში, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ ეს არის ერთი გასროლით ორი კურდღლის დაჭერა. MAP – ის სტანდარტები ნამდვილად მისაღებია თუმცა მისმა შესრულებისკენ სწრაფვამ შესაძლოა უფრო დაგვაზარალოს.

რამდენად შეძლებს ნატო საქართველოს უსაფრთხოების უზრნუველყოფას?

ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და სტიმულს მისცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს. მეორეს მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში.

საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შესრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში. მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს თავდაცვის სექტორში ჩატარებული კარდინალური რეფორმების მიუხედავად, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა.

ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველო დღეს საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკის განვითარება კი აუცილებლად საჭიროებს სტაბილურ გარემოს და მოითხოვს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ გარანტიებს, რის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ნატო იძლევა

გამოყენებული ლიტერატურა:

1)ნიკა ჩიტაძე ,,გეოპოლიტიკა“ თბილისი 2011 წელი.

2)ნიკა ჩიტაძე ,,ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“. თბილისი 2008 წელი

3)ზურაბ აბაშიძე ,,ნატო და საქართველო უტოპიიდან რეალობისკენ“ თბილისი 2000წელი.

4)ვახტანგ მაისაია ,,საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ 1991-2004 წწ. თბილისი 2013წ

5)მაისაია, ვ. (2003). შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. პარიზი: ქართულ-ევროპული ინ-ტი (პარიზი), კავკასიის ხალხთა საერთაშორისო ს/კ ინ-ტი (თბილისი)

7) რა არის ნატო? ტრანსატლანტიკური ალიანსის შესახებ. ბრიუსელი: სახალხო დიპლომატიის განყოფილება .

8) ლუკ კოფი - ნატო-ში გასაწევრიანებლად საქართველოს MAP-ი არ სჭირდება https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2F1tv.ge%2Fnews%2Fluk-kofi-nato-shi-gawevrianebas-map-ar-schirdeba-saqartvelos-map-ar-schirdeba%2F&h=AT3FRCgtgyMpFWrMvjOJHWTKVWTc04uLP_GuEjmvyEaLB7320Gd_A2SuRiEqjWoevhcRd4IqIyDPJvl9cdzaooYLB_BYrzjZ-FmUs2_KYAxtz35WqBAhVm1hAVSR1yHTq4PSSg

9) Membership Action Plan [MAP]

http://mediapedia.ge/term/membership%20action%20plan%20%5Bmap%5D

10) შესაძლებელია თუ არა საქართველოს ნატოში გაწევრიანება სანამ მისი ტერიტორიები ოკუპირებულია. http://infocenter.gov.ge/92-shesadzlebelia-thu-ara-saqarthvelos-natoshi-gatsevrianeba-sanam-misi-regionebi-okupirebulia-da-teritoriuli-mthlianoba-darghveuli.html

11) ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-en-10---10-en-50--00-3-preferences-00-0-00-11-1-0utfZz-8-10-0-11-1-1utfZz-8-10&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.4&gt=1

12) მესამე სექტორი|დისკუსიები, კ. მ. პრობლემები ჩრდილო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. © ასოციაცია - "საზოგადოება, სამართალი და თავისუფლება".

13) რა არის ნატო? ტრანსატლანტიკური ალიანსის შესახებ. ბრიუსელი: სახალხო დიპლომატიის განყოფილება .

14) რა არის ნატო? www.eu-nato.gov.ge:
http://www.eu-nato.gov.ge/ge/nato/about

15)საქართველო ნატო-ს ურთიერთობები. www.mfa.gov.ge:
http://www.mfa.gov.ge/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%

16) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია: www.ka.wikipedia.org
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A9%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90

17) Partnership for Peace programme. www.nato.int :
http://www.nato.int/cps/en/natolive/topics_50349.htm

18) Individual Partnership Action Plans. www.nato.int:

http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49290.htm?selectedLocale=en

19) რეზონანსი - http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=401

20) პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. რუსეთი, რეგიონალური კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. (თბილისი 2008) რედაქტორი : თემურ ქარელი.